სამშაბათი 1919 წ. აპრილის 15 № 83
წელიწადი მეხუთე

სამშაბათი 1919 წ. აპრილის 15 № 83
ფასი 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—50 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 20 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

გულდამწვარნი მეუღლე ნინო ვლადიმერის ასული საყვარელიძისა შვილებითურთ, დედა ესაკია გიორგის ასული საყვარელიძისა, ძმა კალენიკე ალექსანდრეს ძე საყვარელიძე, რძალი მარიამ გრიგოლის ასული საყვარელიძისა, და ილია ალექსანდრეს ასული კვიტაშვილისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებთ და ნაცნობთ უძვირფასესის

ამბერკი ალექსანდრეს ძის

საყვარელიძის

უდროოთ გადაცვალებას ქ. თბილისში. გამოსვენება მოხდება მინკვიცევის ქუჩიდან № 31 15 ამა აპრილს, დღით სამშაბათს ნაშუადღევის 5 საათზე რკინის გზის სადგურამდე, საიდგანაც წაასვენებენ ქ. ზესტაფონში და დაკრძალვა მოხდება 17 ამავე აპრილს—ხუთშაბათს ნაშუადღევის 3 საათზე. 2—2296—1

ძმები: კონსტანტინე, იოსები, დავითი და შალვა სპირიდონის ძენი გუნცაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათი ძვირფასი დეიდაშვილის უდროვოდ გარდაცვალებას

ამბერკი ალექსანდრეს ძის

საყვარელიძისას

გამოსვენება მოხდება ნაშუადღევის ხუთ საათზე 15 ამა აპრილს საკუთარი ბინიდან მინკვიჩევის ქ. 31, მიცვალებულს მიასვენებენ თბილისის სადგურზედ და წაასვენებენ ქ. ყვირილაში. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 17 აპრილს. 2—2297—1

ღრმად დამწუხრებულნი დაი ქეთევანი, სიძე რომანოზ ნიკოლოზის ძე, დისწულები: გიორგი, ვალენტინა, ბაგრატი, სონა, შალიკო, რაჟიკო და თამარა ბაკურაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 11 აპრილს სად. კარატაპის მახლობლად ვერაგულად მოკლულ იქმნა

კირილე მათეს ძე ხვედელიანი

გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 15 აპრილს, დილის 11 საათზე საკუთარ ბინიდან, მაგისტრალნი ქუჩა, № 33. დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე. 1—2294—1

ღრმად დამწუხრებულნი დედა ნინო გიგოს ასული, მეუღლე ოლიკო ტარიელის ასული, შვილები: შურა (ალექსანდრე) და ნუშკია, ძმა დიანოზი, რძალი სონა სიმონის ასული და ძმისწული დათიკო დიანოზის ძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 11 აპრილს სადგურ კარატაპის მახლობლად ვერაგულად მოკლულ იქმნა

კირილე მათეს ძე ხვედელიანი

გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 15 აპრილს დილის 11 საათზე საკუთარ ბინიდან, მაგისტრალნი ქ. № 33. დასაფლავება წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 1—2294—1

გარდაცვალებიდან მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი 5 ქართულ პოლკის პორუჩიკის

პეტრე სოლომონის ძის

ჯავროვის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება 16 აპრილს კალოუბნის ეკლესიაში რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ დედა მიტრადორა იოსების ასული, ძმა გიორგი სოლომონის ძე და რძალი მართა მიხეილის ასული ჯავროვები. (1—2295—1)

გულდამწვარი მეუღლე ბარბარე დიმიტრის ასული ბეჟაშვილი, დედა ნინო ლაზარეს ასული და შვილი ოლღა დიმიტრის ასული ბეჟაშვილები. ძმები აბრამი, ვასილი, ვლადიმერი და მიხეილი ისაკოს ძენი ბეჟაშვილები ცოლშვილით სოფიო და სონათი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ხან მოკლე ავათმყოფობით გარდაიცვალა მათი საყვარელი

ქარუმა ისაკოს ძე ბეჟაშვილი

პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე. მიცვალებულს გამოასვენებენ ოთხშაბათს, 16 აპრილს საკუთარი ბინიდან ნორიოს აღმართი № 5. დაკრძალვა მოხდება წმიდა ნინოს სასაფლაოზედ. 1—2298—1

ლეკურის კურსები

მსახიობ

ელო ანდრონიკაშვილისა

1 ლი აპრილიდან გაიხსნება ლეკურის კურსები მე-7-დე გიმნაზიის შენობაში (ყოფილი კადეტის კორპუსი) მისავალი ევანგულოვის ქუჩიდან სახელმწიფო თეატრის პირდაპირ. პირველი კარები.

ჩაწერა შეიძლება საღამოობით 5-დან 7 საათ.

25—39—17

კონსერვატორიის დარბაზი

17 აპრილი

ტიციან ტაბიძის

პოეზიის საღამო

1\.

გერონტი ქიქოძე „ახალი ქართული პოეზია“.

2\.

გრიგოლ რობაქიძე „სიტყვა პოეზიას“.
პაოლო იაშვილი „მე და ტიციან ტაბიძე“.
ალი არსენიშვილი „ლოგოსი და ლოტოსი“.
ილია ზდანევიჩი „ფუტურიზმის აპოლოგია“.
სერგეი გოროდეცკი „ცისფერი ყანწები“.

3\.

კონფერენცია პოეტების

გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, გალ. ტაბიძე, სერგეი გოროდეცკი, შალვა ამირეჯიბი, ლელი ჯაფარიძე, კოლაუ ნადირაძე, ხანდრო ყანჩელი, შოთა დადიანი, ნიკო მიწიშვილი, ხარიტონ ვარდოშვილი, დ. კაპალი, სანდრო ჩაჩიკაშვილი, ილია ზდანევიჩი, სერგეი რაფალოვიჩი, ყარა დერვიში და სხვები.

ტიციან ტაბიძე წაიკითხავს თავის ახალ ლექსებს, წაკითხული იქნება აგრეთვე მისი ლექსების თარგმანები რუსულათ.

ბილეთები იყიდება კონსერვატ. დარბაზში და ქართულ საჩაიეში.

5—უ—2

პირველ მაისიდან გაიხსნება რუსულ-ქართული საზაფხულო

საბავშვო ბაღი

გიგინეიშვილისა

საგნები: ფრანგული ან ინგლისური (მშობლების სურვილის მიხედვით) ფიზიკური ვარჯიშობა, ცეკვა, პლასტიკა, მუსიკა, ხატვა და ყვავილების მოვლა.

მიიღებიან ბავშვები 4—9 წლამდის.

ჩაწერა და ცნობების მიღება 3 საათიდან 6 საათამდის.

ოლღას ქუჩა № 31. ბინა 2. საბავშვო ბაღი. ტელ. 2—04.

12—2289—4

რესტორანი **პარიზი** რესტორანი

ქართულ კლუბის ქვეშ (სასახლის ქუჩა)

სრულიად ახლა გადაკეთებული

ცალკე მოწყობილ დარბაზებით

გაიხსნა 14 მარტიდან

მზადდება ყოველ დღე საგანგებო: საუზმე, სადილი, ვახშამი აზიზ კერძებით.

საუცხოვო საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული

საგანგებო ყავა-ხანა

✦✦✦ ფასები ზომიერია ✦✦✦

საამხანაგო, საზეიმო სადილ-ვახშმები ფას-დაკლებით.
(მსახურთ პროცენტები მოსპობილია)

სასმელები ყველა კუთხისა, ფირმისა და მარკისა.

25—32—23

პატივისცემით: ხ. გიგიბერია და ვარ. გვათუა.

მედიცინის დოქტორი

ა. გ. მაჭავარიანი

ქირურგიულ ავადმყოფთათვის. იღებს საღამოს 5—7 საათ. მიხეილის ქ. სახლი ოდამოვისა № 111, (მე-2 ფლიგელი, ეზოში) სავლე ტელეფონი № 43.

60—2171—23

იყიდება

ველოსიპედი

ხელმისაწდომ ფასში.

მისამართი: ყაზბეგის ქუჩა № 5.

4—2291—4

ყაჩაღთა თარეში

პოლიტიკური მესვეურნი ერთობ „უმაღლეს პოლიტიკით“ არიან გატაცებულნი! „რეფორმატორულ“ გასაქანს საზღვარი არ უჩანს...

ამავე დროს სახელმწიფოში რიგიან და მყუდრო ყოფა-ცხოვრების საშუალებას მოკლებულ არიან ყველა მოქალაქენი.

რესპუბლიკა ბანდიტების სათარეშოდ არის გადაქცეული.

ალვირ ასხნილი ყაჩაღობა კიდითკიდემდე მოსდებია მთელ ჩვენს ქვეყანას! ათასი ჯურის მძარცველები—სპეკულიანტებიდან დაწყებული და ქუჩაში დაუფარავად და მოურიდებლად დამბაჩა ამოღებული ავაზაკით გათავებული — შიშის ზარსა სცემენ მწუხრში ჩავარდნილ მშვიდობიან მცხოვრებს...

სავალალოა არა ნაძირალების უზომო თავგასულობა: ასეთი მოდგმის სუბიექტები არ დაილევა აროდეს! სამწუხარო ის არის, რომ მძარცველები და ქურდები დაუსჯელად აკმაყოფილებენ თავის მდაბალ ინსტინქტებს, ხოლო რესპუბლიკის „თავისუფალი“ მოქალაქენი სავსებით მოკლებულ არიან სახელმწიფოსაგან თავდაცვას.

ყაჩაღები თვითეულად და ხშირად ურიცხვ რაზმებითაც ყველგან ახდილად გაცხარებულ მუშაობას აწარმოებენ! მათი ვინაობა და ბინადრობაც ადმინისტრაციამ იცის აქაც და პროვინციაშიც, მაგრამ ყაჩაღი მაინც განაგრძობს ძარცვა-ხოცვას სრულიად დარწმუნებული თავის „იმმუნიტეტში“...

ჩვენს ქვეყანას არასოდეს არ ჰყოლია ისეთი მრავალრიცხოვანი და სხვა და სხვა ყაიდის ძალდატანების სპეციალურ დანიშნულების აპარატი, როგორც ეხლა სოციალისტების გამგებლობის ხანაში,—მაგრამ, ვის ახსოვს, ასეთი დაუსრულებელი და წრეგადასული აწიოკება ხალხისა?

ადმინისტრაცია აღჭურვილია სრული უფლებით და შიგა და შიგ გადამეტებული კომპეტენციით; გარეგნულად მართვა-გამგეობაც თითქოს თავის დონეზე სდგას; თითქოს ზომებსაც იღებდნენ ხალხის შემწუხებლების ასალაგმავად, მაგრამ ნაძირალების ტერორი უფრო მეტის გაშმაგებით მოქმედებს.

უნდა გამოვტყდეთ, მოგვბეზრდა ამ საგანზე წერა, და მართლაც შესაზარია ყოველდღიურად აღნუსხვა მინებებულ ხალხის ქლეტისა!

ჩვენ-კი სწორედ ამ აუტანელ თავხედობის ჟამს ყოველმხრივ ემანსიპაციას და გაბედნიერებას გვპირდებიან და სოციალურ სამოთხეს „გვაახლოვებენ“.

ამაზე მეტი დაცინვა წარმოუდგენელია!

ხალხის პირადი ცხოვრება უკიდურეს ყოფაშია! არავინ არის უზრუნველყოფილი, რომ დღეს-ხვალ ვიღაც არამზადას მეთაურობით სხვა ასეთივე არამზადები სიცოცხლეს არ მოუსპობენ, ან მთლად შიშველს არ დასტოვებენ!

საგაზეთო ქრონიკა მხოლოდ იმასღა გვაუწყებს, რომ საქართველოს მოქალაქენი: გაძარცვეს, მოჰკლეს, გააუპატიურეს, გაქურდეს, სცემეს, დაასახიჩრეს და სხვ...

ვინ არის ხალხის პატრონი და მშველელი?

სადამდის უნდა მივიდეს ასეთი შეურაცხმყოფელი მდგომარეობა?

სად არის სახელმწიფოს დამსჯელი კანონი, რომ მრისხანედ და ულმობლად არ მოევლინება ქვეყნის ამრევ დამრევებს და არ მოსპობს ბანდიტების ბუდეებს!..

პრესსა

მენშევიკების ადმინისტრაცია.

„ერთობა“-მ გაათავა თავის ციკლი ცოდვების მონანიების, ალბათ „ერთობა“-ს შეეშინდა სენსაციების გაგრძელების და თავის-თავის გამათრახება, ეხლა ამ საქმეს ხელი მოჰკიდა მენშევიკების რუსულმა ოფიციოზმა, „ბორბა“-მ და როგორც ეტყობა არც ეს გაზეთი ჩამორჩება „ერთობა“-ს სენსაციებში: აპრილის 13 ნომერში „ბორბა“ ასე ახასიათებს ქალაქის მილიციას:

„ამ ბოლო ხანებში ქურდობა, თავდასხმა, ძარცვა და მკვლელობანი თბილისში მეტათ გახშირდა.

თავს ესხმიან დღისით, ხდიან ტანისამოსს და თუ ვინმე წინააღმდეგობას გაუწევს წუთისოფელს ასალმებენ.

ყველაფერი ეს ხდება, არა სადმე მიყრუებულ ქუჩაზე არამედ ქალაქის ცენტრებში, მთავარ ქუჩების ახლომახლო.

ქალაქის მცხოვრები ტერორის ქვეშ იმყოფება, როგორც ერთი წლის წინათ.

ქალაქის მოსამსახურეებს და მუშებს, რომელთაც საღამოობით უხდებათ მუშაობა ეშინიათ შინ დაბრუნებისა, ხალხი რომელიც თეატრში დადის იმის ფიქრშია, როგორ დაბრუნდეს სახლში და არ ჩაუარდეს ხელში ბანდიტებსა“...

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ წესიერების დაცვა ქალაქის მილიციას აქვს დაკისრებული, მაგრამ, როგორც არა ერთხელ იყო ყურადღება მიქცეული დისციპლინა და საქმისთვის მომზადება საქალაქის მილიციაში ყოველი კრიტიკის გარეშე სდგას.

საკმაოა ცოტა გაიაროთ ქალაქში რომ წააწყდეშით უწესოებას, რომელსაც თვითონ მილიციონერები ახდენენ.

ღამე ცუდათ იცავენ მილიციონერები ქუჩებს, მხოლოდ დღისით ჩნდებიან, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში სდგანან ერთად და შეურაცჰყოფას აყენებენ გამვლელებს ყაყანით და უცენზურო სიტყვებით.

შემდეგ მოყვანილია ბევრი მაგალითი მილიციონერების უწესოების მაჩვენებელი.

„ბორბა“ სამართლიანად აღნიშნავს მილიციის გარყვნას და იმ საფრთხეს, რომელიც აქედან წარმოსდგება. ყველამ იცის რა სამარცხვინოდ იქცეოდა მილიცია სომხებთან ომის დროს და რა უშედეგოთ ჩაიარა მაშინ მთავრობის თავმჯდომარის მიერ დანიშნულმა რევიზიამ.

მართლაც არ არის მეტი საშუალება მოთმენის. ჩვენ მთავრობას, უყვარს თავის წესიერებაზე ლაპარაკი და საქართველოს „ოაზისს“ ეძახის და „შვეიცარიას ადარებს“, მაგრამ რა გავლენა ან და აზრი ექნება ამის მტკიცებას, თუ თბილისში ისეთი ამბები ხდება, როგორც ამას „ბორბა“ ააშკარავებს და ქალაქი ქურდების და ყაჩაღების ტერორით არის შეპყრობილი.

ამას მართლაც უნდა მოეღოს ბოლო, მეტი მოთმენა შეურაცმყოფელია და მომაკვდინებელი...

რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა

დიდ საფრთხის წინაშე ვდგევართ—არ ვიცით რა ჟამს და რა ადგილიდან დაგვესხმიან მტრები და ბოლოს მოუღებენ ჩვენს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

ამისთვის განმზადებულნი უნდა ვიყვნეთ ყოველ წუთს.

ვის შეუძლიან ჩვენი ხსნა? მხოლოდ თვითონ ჩვენ რეგულიარულ, რკინის ჯარის შექმნით.

უკანასკნელი ცნობები

კაიზერის გასამართლების საკითხში მოკავშირეთა შორის მწვავე უთანხმოებაა.

საარის ოლქს გერმანიას უტოვებენ.

როგორც ინგლისიდან იტყობინებიან საზავო კონფერენცია 35 დღეში დასრულდება.

ეკატერინოდარში გაფიცვაა.

უკრაინის საბჭოთა ჯარმა ჟიტომირი, ბაქჩისარაევსკი და იალტა აიღო.

პეტლიურას ჯარი საბჭოთა ჯარის მხარეზე გადადის.

ბრაუნშვეიგში მუშათა გაფიცვაა.

ფინური დეპეშებით, პეტროგრადში აპრილის დასაწყისში აჯანყება მოხდა.

აპრილის 28 რეველში ლიფლიანდიის დამფუძნებელი კრება შესდგა.

ჩრდილოეთის მხარეს ბოლშევიკები იმარჯვებენ.

სევასტოპოლში ძალა-უფლება მუშათა და ჯარის კაცთა ხელში გადავიდა.

უნდა გულახდილად გამოვტყდეთ, რომ ნამდვილი ჯარი ჩვენ ჯერ არა გვყავს, მიუხედავად იმისა, რკინის ჯარების შესაქმნელად მოგვეპოვება საუცხოვო სამარი მასალა.

რათ ხდება ეს ასე, სად არის მიზეზი?

უმთავრესი მიზეზი უნდა ვეძიოთ მთავრობის შეხედულებაში და აქედან მის მოქმედებაში.

შეიარაღებულ ძალის საკითხი დამოუკიდებელ რესპუბლიკის აღშენების დასაბამიდანვე სწორად არ დაისვა.

სოციალისტებს ჯარის ისე ეშინოდათ, როგორც ცეცხლისა,—ეშინოდათ, რომ მათთვის მილიტარიზმი არ დაეწამათ, ხოლო ის კი ველარ გამოიკვლიეს, რომ უჯაროდ შეიძლება დავკარგოთ დამოუკიდებლობაც და „რევოლიუციის ყველა მონაპოვარიც“. ამიტომ გადასწყვიტეს ჯარი, ვით „ძველი მოვლენა“ მხოლოდ დროებით შეეწყნარონ და ამავე დროს შექმნან სახალხო გვარდია, როგორც „ახალი მოვლენა“, თუმცა კი ეს „მოვლენა“ ისევე ძველია, როგორც სამყარო.

სახალხო გვარდიელები წარმოადგენენ თავის ბელადების შეიარაღებულ მიმდევრებს და ისტორიამ ისინი უწყის ამ ბელადების გამოცხადების დღიდან. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ უწინ შეიარაღებული მიმდევრები [illegible] ბის ხელთგდების უმალვე გარდიქმნებოდნენ რეგულიარულ, დისციპლინიან, თუმც პრივილეგიების მქონე, ნაწილებად. დღევანდელ სახალხო გვარდიაში ამას არ ვამჩნევთ. ამრიგად ერთ საქმეში დაფუძნებულია ორი ერთი მეორის საწინააღმდეგო ინსტიტუტი, რამაც ერთ მშობლიურ ოჯახში ანტაგონიზმი დაბადა.

დაიწყეს მოწყობა ჯარის ძველს საფუძველზე, ხოლო გვარდიასა—იმპროვიზიულს, ახალზე. ჯარი მიანდეს ღენერლებს, გვარდია—„შტატსკებს“. ჯარს აღვირახსნილი, მოუმწიფებელი ახალგაზდობა მისცეს, გვარდიას-კი—ძველი, კადრის გამოცდილი ოფიცერთა მიერ გაწრთვნილი, გაკაჟებული ბრძოლაში და ჯვრებით გამშვენებული ჯარისკაცები არგუნეს.

არმიის ჯარისკაცს თვეში 20 მან. დაუნიშნეს, გვარდიელს 250 მაან. ჯაჯარისკაცს კერძო რუსული განაწილებით ეძლევა, გვარდიელს ქართულად (ფლავი და ცხვრის ხორცი და სხვ).

მაგრამ ყველაზე უმთავრესი არც ჯარმა და არც გვარდიამ არ მიიღო,—მათ არა აქვთ მტკიცე კანონები და ასევე მტკიცე ხელმწიფება, რაიც ასე აუცილებელია შეიარაღებულ ძალების დაწესების საფუძვლისა—დისციპლინისათვის.

საქმეს სიმტკიცე აკლდა, აკლდა აგრეთვე ყურდღება და სიმხნევე, რომლის თაობაზე დამფუძნებელ კრებაზე ითქვა.

სცადეს შეექმნათ კანონი, მაგრამ არავითარი სიმტკიცე არ გამოუჩენიათ, რათა იგი ცხოვრებაში განეხორციელებინათ და უზრუნველეყოთ მისი ძალა და პატივისცემა.

ჯარში გასაწვევთ ჰკრებდნენ, აცმევდნენ, იარაღს ასხამდნენ, ხოლო მთელი როტებით სახლშივე ბრუნდებოდნენ. დეზერტირობა უკიდურესობამდე გავრცელდა და ამ ფაქტს უმწეო უახლოესი უფროსები მხოლოდ გაკვირვებით აღნუსხავდნენ.

ბევრის გაკეთება კი შეიძლებოდა.

პირველადვე მთელი სიძლიერე სახალხო გვარდიაში იყო, იგი უნდა შეექმნათ, როგორც „ახალი მოვლენა“ სახელწოდებით, მაგრამ—კი აუცილებლად ძველ სამხედრო-სამეცნიერო საფუძველზე და სახელმწიფოს და შეიარაღებულ ძალის სრულს მოწესრიგებამდე მას მისცემოდა მისგან უფლებამოსილება, როგორც უნდა ყოფილიყო, პრივილეგიები, ორგანიზაციისა და დისციპლინის გარდა, რომელნიც უსათუოდ შეურყევლად უნდა დარჩენილიყვნენ.

ჯეროვანი შთაგონება თვით სახალხო გვარდიელებს აგრძნობინებდა წესიერ, რეგულიარულ ორგანიზაციის საჭიროებას, რადგანაც ყველა ისინი, როგორც თავმჯდომარის განცხადებიდანა სჩანს, წარმოადგენენ საუკეთესო, მოწინავე და მაშასადამე სალაზროვნებიან ელემენტს.

წესიერი (რეგულიარული) ორგანიზაცია მთავრობას არ უნდა აშინებდეს: ჯარი ხომ სავსებით სამხედრო მინისტრის ხელშია, რომელიც ხალხის წარმომადგენლების მიერ არის არჩეული და, მაშასადამე, ყველასგან ცნობილი და პატივცემულია. მასზე განსაკუთრებით დამოკიდებულია ღირსება, მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ჯარისა.

წესიერად მოწყობილ სახალხო გვარდიაზე რომ დავყრდნობოდით ამ ათი თვის განმავლობაში, შეიძლებოდა ბევრის გაკეთება ჯარის დაარსებისათვის წმინდა ევროპიულ სამხედრო-სამეცნიერო ნიადაგზე და სწორ ორგანიზაციის საშუალებით შევძლებდით გვარდიასა და ჯარის შორის გაძლიერებულ ანტიგონიზმის ძირიანად მოსპობას.

მაგრამ, რაც იყო, განვლო. ცხოვრება და წარსულის გაკვეთილები ბევრს გვასწავლის. შეუძლებელია ყველაფრის ცოდნა, ყველაფრის გათვალისწინება და წინადგაგება და შეუცდომელი მოქმედება მით უმეტეს ასეთს განსაკუთრებულ მძიმე ხანაში.

ეხლა მდგომარეობა სულ შეიცვალა. ქვეყანა დამფუძნებელ კრებამდის მიყვანილია და განსაზღვრულ კალაპოტში დგება. ეხლა უკვე დროა მოსაფიქრებლად, სამხედრო მეცნიერების გასაცნობად, და ამ გზით თავისთავად დავადგებით იმ უდავო დასკვნას, რომ რესპუბლიკის საკეთილდღეოდ და სასახელოდ უნდა აჩქარებულად შევქმნათ რკინის დისციპლინიანი რეგულიარული არმია.

ა. ბ—ლი.

ჩვენი იდეოლოგიისთვის

სამმა დიდმა ფაქტორმა შექმნა და წარმოშვა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. პირველი და უმთავრესი იყო იდუმალი (იმ დროს არსებულ პირობების გამო) მისწრაფება ქართველ ერისა ეროვნულ სახელმწიფოებრივ **დამოუკიდებლობისადმი** და ერის ყველა სასიცოცხლო ელემენტების გაერთიანებისადმი. მეორე იყო მეტად თვალსაჩინო მიდრეკილება **დემოკრატიულ** წყობილებისადმი, ხოლო მესამე ასევე დაუმალავი და მეტად მტკიცე სურვილი სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობის **კერძო საკუთრების** პრინციპზე აგებისა.

ეს სამი დედა-ბოძი ჩვენი პარტიის არსებისა იმდენად ღრმა-ფესვიანი აღმოჩნდნენ საქართველოს ნიადაგზე, რომ ეროვნულ დემოკრატიული იდეოლოგია თამამად შეიძლება ქართველ ერის იდეოლოგიად მივიჩნიოთ.

ვერც ულტრა-სოციალისტურ ბოლშევიკების ურდოებმა, ვერც დენიკინის მონარქისტულ რაზმებმა, ვერც ოსმალეთის არხი-მემარჯვენე იდეების მატარებელ ასკერების შემოსევამ და ვერც საერთაშორისო ურთიერთობის რადიკალურად შეცვლამ—ვერ შესძლეს ამ იდეოლოგიის ქართველ ერში შერყევა.

დღესაც სწარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ქართველ ერისა სხვა და სხვა მხრიდან მომდგარ მტრებთან, მაგრამ მისი ნებისყოფა იმდენად მტკიცე ხასიათისა აღმოჩნდა, რომ ყველანი იძულებული შეიქმნენ ანგარიში გაეწიათ მისთვის.

ამ ფაქტს ვსთვლით ჩვენ ეროვნულ დემოკრატიულ იდეოლოგიის ჭეშმარიტად დიდ გამარჯვებად და ამიტომაც ამ ხაზის დატოვება მის გვერდის ავლა ჩვენი პარტიის მიერ ყოვლად შეუძლებელია.

გადაჭარბებულად რომ არავის ეჩვენოს ჩვენ მიერ ნათქვამი, მიუთითებთ იმ ფაქტზე, რომ ვერსად და ვერც ერთმა პარტიამ ვერ გამოიჩინა ისეთი სიმტკიცე, რომ გაეძლო ერთხელ არჩეულ პოზიციაზე გამაგრება ორ-სამს თვეზე მეტი. ევროპის ლიბერალების მწყობრი უკან დახევა, სოციალ-დემოკრატების იდეოლოგიურად გზა-კვალის აბნევა, ესერების მარჯვნითა და მარცხნით წყვეტდა რუსეთში...—ყველაფერი ეს ხდებოდა დღიდან რევოლუციურ ბუქის ამოსვლისა და დღიდღეზე აშკარავდება.

მართალია, ხალხი, დემოკრატიის დიდი უმრავლესობა დღეს ჩვენს მენშევიკებს უცხადებს ნდობას და ისინი გაამარჯვა კიდეც დამფუძნებელ კრების არჩევნებში, მაგრამ ეს ხომ საზომი არ არის იდეოლოგიურად გამარჯვებისა. ეს ნაყოფია მენშევიკების ხანგრძლივი ორგანიზაციული მუშაობისა ქართველ დემოკრატიაში და ყველა იმ პრინციპების უარყოფისა, რომლითაც სოც. დემოკრატებმა პირველად თავიანთი თავი გააცნეს ქართველ ხალხს. პრაქტიკულად სოც. დემოკრატების საარჩევნო გამარჯვებას ხელი შეუწყო მთელი სახელმწიფო აპარატის მათდა სასარგებლოდ ამუშავებამ და საარჩევნო თავისუფლების გათელვამ. **რუსულ ცენტრალიზმიდან საქართველოს დამოუკიდებლობამდე** მოვიდენ, მათს ერთფეროვან **ინტერნაციონალურ** დროშას ფერი შეეცვალა და წინ დაუდგა ქართული სამფეროვანი ნაციონალური დროშა, მათთვის საწეტარო პროლეტარიატის ნაცვლად დღეს დემოკრატია ბატონობს და სოციალისტურ წყობილებას გასაქანს არ აძლევს ქართველი გლეხის გადაჭრილი სიტყვა: მე კერძო მესაკუთრე ვარო.

ფაქტები ეს არის და რა გინდ გრანდიოზულად არ იხმარონ დიალექტიკური საშუალებანი, ფაქტებს ვერავინ შესცვლის.

ისინი ამბობენ ეს ტაქტიკური ზომები არისო, მაგრამ ტაქტიკისა და [illegible] და ნათესაობა მაინც საჭიროა, ასეთი ტრაღედია ეროვნულ-დემოკრატიულ იდეოლოგიას „ტაქტიკურადაც“ არ გამოუცდია ასეთი მერყევ ხანაში და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორგანიზაციული მუშაობა უთუოდ იმ დრომდე მიგვიყვანს, როდესაც უკანასკნელი დასკვნაც ჩვენ უნდა გაუკეთოთ მიმდინარე მომენტს და საბოლოო სიტყვაც ჩვენ უნდა უთხრათ ქართველ ერს.

ი. ხანანაშვილი.

მთავრობის წრეებში

8 აპრილის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

ასურეთის ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობა.

ასურელთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნას: მიეცეს მას ათ-მილიონიან ფონდიდან სესხის სახით 50000 მანეთი და შუამდგომლობაში აღნიშნული მოწმობები.

კავკასიის მუზეუმის საქმე.

კავკასიის მუზეუმის შესახებ სომხებთან მოლაპარაკება დაევალოს საგარეო საქმეთა მინისტრს.

სომხის ლტოლვილთა საქართველოზე გატარება.

შესაძლებლად იქმნას ცნობილი სომეხ ლტოლვილთა საქართველოს ტერიტორიაზე გატარება, მხოლოდ იმ გარანტიით, რომ ლტოლვილნი პირდაპირ წავლენ სამშობლოში და ყველა მათთვის საჭირო ხარჯები გაღებული იქნება სომხეთის მთავრობის მიერ.

პურის განაწილებისათვის.

წინადადება მიეცეს ქალაქის თვითმართველობას პურის განაწილების დროს იხელმძღვანელოს მთავრობის 29 მარტის დადგენილებაში აღნიშნული ნორმით და მიიღოს შესაფერი ზომები ყოველგვარი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ.

ლეჩხუმის ერობას.

ლეჩხუმის ერობას აღმოეჩინოს დახმარება ერობათა დასახმარებლად გადადებულ თანხიდან.

მოხელეთა ჯილდოებისათვის.

სასურველად იქმნას ცნობილი, რომ ერობანი და ქალაქის თვითმართველობანი თავიანთ მოხელეთა ჯილდოს უფარდებენ სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა ჯამაგირებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ ადგილობრივ თვითმართველობებს უარი ეთქვათ მთავრობის სუბსიდიაში.

სამხედრო უწყების მოხელეთა ჯამაგირების გათანასწორებისათვის.

სამხედრო მინისტრის მოხსენება, სამხედრო უწყებაში მოსამსახურე პირთა ჯამაგირების მხრივ გათანასწორების შესახებ მოწონებულ იქნას.

მცხეთის სკოლის საჭიროებისათვის.

გადაიდოს განათლების მინისტრის განკარგულებაში 7,000 მანეთი, მცხეთის საკერამიკო სკოლის საჭიროებისათვის ათ-მილიონიან ფონდიდან.

გზათა სამმართველოს შტატს გარეშეთა სალიკვიდაციოდ.

გადაიდოს გზათა მინისტრის განკარგულებაში 14,030 მან. 93 კაპ. გზატკეცილების სამმართველოს შტატ-გარეშე მოხელეთა სალიკვიდაციო ჯილდოთი დასაკმაყოფილებლად გზათა უწყების კრედიტებიდან.

გზათა დეპარტამენტის დირექტორი.

ინჟინერ ბესარიონ ალექსის ძე ჭიჭინაძე დაინიშნოს მიწათ-მოქმედების, გზათა და შრომის სამინისტროს გზათა დეპარტამენტის დირექტორად.

საბაჟოების გაუქმება-დაარსების შესახებ.

კანონ-პროექტი რუსეთის ზოგიერთ საბაჟოთა გაუქმებისა და ათ ადგილას ახალთა დაარსების შესახებ მოწონებულ იქნას და წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

ქუთაისის საბაჟოსათვის.

კანონ-პროექტი ქუთაისში პირველ ხარისხის საბაჟოს დაარსებისა და მისი შესანახად ამა წლის პირველ აპრილიდან წლის დამლევამდე 152,690 მ. გაღების შესახებ მოწონებულ იქნას და წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

სახელმ. ქაღალდ. დამამზადებელ ექსპედიციასთან ხელშეკრულება.

ფინანსთა მინისტრისა და სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციის მუშების შორის კოლექტიური ხელშეკრულობის საკითხის გადაწყვეტა და ცხოვრებაში გატარება მოხდეს ფინანსთა მინისტრისა და შრომის მინისტრის თანაშემწის შეთანხმებით.

სამხედრ. უწყ. და არტილ. მუშათა შორის ხელშეკრულების შესახებ.

სამხედრო უწყებისა და არტილერიის საწყობის მუშათა შორის ხელშეკრულობის პროექტის შესახებ სა- [illegible] და ცხოვრებაში გატარება მოხდეს სამხედრო მინისტრისა და შრომის მინისტრის ამხანაგის შეთანხმებით.

გზა ტკეცილ. სამმართველოს უფროსს

რესპუბლიკის გზატკეცილების სამმართველოს უფროსს გაუდიდდეს ჯამაგირი 1500 მანეთამდე, ხოლო მის თანაშემწეს 1200 მანეთამდე.

იუსტიციის სამინისტროში.

სენატის დაარსების საკითხი.

სენატის ახალ დებულებას სასწრაფოდ იმუშავებს საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან: თბილისის სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე—მღვდლიშვილი სამინისტროს კანცელარიის დირექტორი—ჟორდანია, პალატის დეპარტამენტების თავმჯდომარეები—ლემერმანი და კრასნიხი, სამინისტროს იურისკონსულტი დემიდოვი და სასამართლო პალატის პროკურორი ლებედინსკი.

საქარ. არაქვეშევრდომი ნატარიუსები.

იუსტიციის სამინისტრომ წინადადება მისცა საქართველოს არა-ქვეშევრდომ ნატარიუსებს 20 მაისიდან სამსახურიდან გადადგენ.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისათვის.

იუსტიციის სამინისტრომ განმეორებით სთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს რათა საქართველოს საერობო და ქალაქის თვითმართველობათ წინადადება მიეცეთ დააჩქარონ ნაფიც მსაჯულთა საერთო სიების შედგენა და სათანადო ოლქის სასამართლოებისათვის გადაცემა.

ბოროტ-მოქმედებასთან საბრძოლველად.

იუსტიციის სამინისტრო სწრაფად იმუშავებს მთელ რიგს ღონის-ძიებათა ბოროტ-მოქმედებასთან ბრძოლის გასაძლიერებლად.

განზრახულია საგამომძიებლო აპარატის გაძლიერება, გამომძიებელთა რიცხვის გამრავლებით.

ოლქის სასამართლოს მიეწერა სასამართლოს ზოგიერთ წევრებს საქმეების გამოძიება დაავალონ.

დამფუძნებელი კრების ქრონიკა

დამატებითი კანონპროექტი.

საქართველოს მოქალაქეობის (ქვეშევრდომის შესახებ).

საკონსტიტუციო კომისიაში შემოვიდა შემდეგი კანონ-პროექტი:

I. იმ მკვიდრთა გარდა, რომელნიც მოხსენებულ არიან საქართველოს ეროვნულ საბჭოს 1918 წლის 16 ივლისის კანონში, საქართველოს მოქალაქეებად (ქვეშევრდომებად) აღიარებულ იქმნენ:

ა) ყოფილ რუსეთის იმპერიის ყველა ქვეშევრდომი ქართველი, სადაც და რამდენ ხანსაც უნდა სცხოვრობდეს, უკეთუ ის ექვსი თვის განმავლობაში ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ უარს არ განაცხადებს საქართველოს მოქალაქეობაზე.

ბ) ყოფილ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომს ყოველი არა ქართველი, რომელიც განუწყვეტლივ ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე არა ნაკლებ სამი წლისა 1914 წლის 19 ივლისამდე, უკეთუ ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ სამი თვის განმავლობაში ის განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა.

შენიშვნა: განცხადება და საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრების ხანგრძლივობის დასამტკიცებელი საბუთი წარედგინება საოლქო სასამართლოს ადმინისტრატიულ განყოფილებას. რომელიც მთხოვნელს აძლევს მოქალაქეობის უფლებას, თუ იგი აკმაყოფილებს ამავე მუხლში აღნიშნულ მოთხოვნილებას.

ქრონიკა

◆ **ბათუმ—ნატანების რკინის გზის ჩაბარება.** დაბრუნდა თბილისში საგანგებო კომისია, რომელიც გაგზავნილი იყო მთავრობისაგან ნატანებ—ბათუმის შუა რკინის გზის ჩასაბარებლად. კომისიას ქონდა თათბირი მთავრობის წარმომადგენელთან, რომელსაც გაავცნო დაწერილებით ხელშეკრულობის მუხლები. ამ დღეებში დაიწყება პირდაპირი მიმოსვლა თბილის—ბათუმამდე.

◆ **გრ. ვეშაპელის საქმე.** დღეს თბილისის საოლქო სასამართლოში დანიშნულია საქმე გრ. ვეშაპელისა, რომელსაც შინაგან საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი კაჩუხაშვილი უჩივის ბეჭდვითი ცილისწამებას.

◆ **სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის.** განათლების მინისტრმა გაუგზავნა ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორს, საჭირო თანხა სახალხო სკოლების მასწავლებელთა ჯამაგირებით დასაკმაყოფილებლად.

◆ **მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტში.** კვირას 13 აპრილს შესდგა მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტის კრება. ვინაიდან დროს უქონლობის გამო პრეზიდიუმის ზოგიერთ წევრებმა უარი განაცხადეს, მოხდა პრეზიდიუმის ხელახალი არჩევნები. აირჩიეს თავმჯდომარედ გრ. გიორგაძე მის ამხანაგებად პ. სურგულაძე და ქ-ნი ქავთარიძისა, ხაზინადრად ქ ნი კვინიტაძისა და მდივნად ლ. რუხაძე. კომიტეტმა დაადგინა რამოდენიმე დღეში უთუოდ მოახერხოს სათესლე ხორბლის ნაწილის გაგზავნა მაინც ახალ-ციხე ახალ-ქალაქის მაზრებში, ხოლო დახმარების გადაგზავნა რომ არ დაბრკოლდეს ამისათვის ბორჯომში ადგილობრივ ორგანიზაციების დახმარებით გადამზიდი პუქტი დაარსონ.

◆ **ქალთა საზოგადოების კრება.** თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების კრება გადაიდო 4 მაისისათვის.

◆ **დაჭრილ და დაავადებულ მხედართათვის.** ქართველ ვაჭარ-მრეწველთა შორის ომისათვის ფულის შემკრეფმა კომიტეტმა შეგროვილ ფულიდან ფინანსთა მინისტრს გადასცა ჯერ ჯერობით 300.000 მანეთი, რომელიც უნდა მოხმარდეს დაჭრილ, დახოცილ და დაავადებულ მეომრებს. ფულის შეგროვება გრძელდება.

◆ **ჟურნალი „თეატრი და მუსიკა“.** უკვე გამოვიდა და იყიდება საჩაიე „ძმურ ნუგეშ“-ში და სახელმწიფო თეატრში. ფასი 1 თუმანი.

სხვა და სხვა ამბები

◆ **თავდასხმა.** 13 აპრილს საღამოს 8 საათზე, მურუსიძის სახლში (კიროჩნის ქ. № 48) შეიჭრა რამდენიმე შეიარაღებული მძარცველი და წაართვას ნიკოლოზის ფულით 40,000 მ. და სხ. და სხვა ძვირფასი ნივთები 60,000 მან. ღირებული. მძარცველები მიიმალნენ.

◆ **ქურდობა.** 14 აპრილს ღმაე მაშადი აბას ბაგირ-ოღლის ბინიდან (ვორონცოვის ქ. № 29), მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები 29,920 მ. ქურდები მიიმალნენ.

◆ **ფქვილის მოპარვა.** 14 აპრილს ღამით ქალაქის ცენტრალურ ფურნიდან მოიპარეს კანადის თეთრი ფქვილი, რაოდენობა გამოურკვეველია. ბოროტ-გამზრახველები ვერ აღმოაჩინეს.

◆ **ძარცვა.** 13 აპრილს საღამოს 8 საათ. ვანქის ქუჩ. მიმავალ [illegible] გრიგორიანცს, ხ. კოსტანიანს და ს. კარაპეტიანს დახვდენ 3 შეიარაღებული პირი და წაართვეს პირველს—800 მ. მეორეს—580 მ. მესამეს—6000 მ.

სამხატვრო ქრონიკა

კომპოზიტორი ზაქარ. ფალიაშვილი. თბილისის კონსერვატორიის პროფესორთა კოლლეგიამ, კონსერვატორიის ინსპექტორს კომპოზიტორს ზაქარია ფალიაშვილს, მისი ოცდა ხუთის წლის სამუსიკო და საპედაგოგიო ასპარეზზედ მოღვაწეობისათვის კონსერვატორიის პროფესორობის უმაღლესი ხარისხი უბოძა.

მანქანა „ბუკი“

ბაზარზე გასასყიდათ გამოვიდა ახალი გოგირდის შესხურული მანქანა. მანქანის აღწერა და უპირატესობანი. მანქანა დაყოფილი სამ უჯრათ.

პირველი უჯრა ტყავით შემოკრული „ჰაერის საძლევი, რომელიც განისაზღვრება მეორე უჯრისაგან ისე, რომ ტყავს არ ეკარება გოგირდი და უერთდება მეორე უჯრედს სასულე (клапаны), რომელიც სასხლეტით (пружина) მექანიკურათ იღება და იხურება.

მეორე უჯრა გოგირდის მოსაკავებელი გაიყოფა ორათ ზედა და ქვედა, ნაწილი ზედა უჯრედს ქვედა უჯრედისაგან საზღვრავს მოწყობილი ცხრილი. ცხრილს ზემოთ არის მოწყობილი ბორბალი ფრთებიანი, რომელიც მანქანის მოძრაობასთან ერთად მოქმედებს და ხელს უწყობს რათა გოგირდი დაფხვნას და ფხვნილი თავისუფლათ გაატაროს ცხრილში. ცხრილს ქვევიდან აქვს რეგულატორი, რომელიც ანაწილებს გოგირდს ისე რომ მეტი გოგირდი არ მოგროვდეს ქვედა კამერაში და გამოუშვას იმდენი რამდენსაც საჭიროთ დაინახავს მევენახე, ბოლოს მანქანას აქვს ლულაზე კონუსისებური კოვზი, რომელიც გოგირდს ისე ფანტავს, რომ რაც შეიძლება მეტი მტვერი გოგირდის დაანაწილოს ზომიერათ გაზის ზურუსზედ.

შეამოწმეს. 1) კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ მოიწონეს და სათანადო საბუთიც მომცეს. 2) თბილისის მაზრის ერობის გამგეობამ სათანადო მოწმობა.

დამფუძნებელი კრება

11 აპრილის სხდომა

(გაგრძელება).

რ. არსენიძე. (ს.—დ.) იცავს დეკრეტს და მის საჭიროებას ასაბუთებს იმით რომ საჭიროა ეხლავე აიკრძალოს ქალაქში მდებარე მიწების გადაცემა, დაგირავება და იჯარით გაცემა, რადგან თუ ასეთი აკრძალვა არ იქნება დადებული, სხვადასხვა მახინაციების წყალობით მთლად გაქარწყლდება ის მამულები, რომელიც საზოგადო საქმეს უნდა მოხმარდეს, და როდესაც სათანადო კანონი გამოიცემა, ჩვენ იმ მამულებიდან აღარაფერი დაგვრჩება, თუ ეხლავე არ აღურკძალეთ პატრონებს მამულების გადაცემა და სხვა. ეს შეეხება მხოლოდ დაუსახლებელ მამულებს, ხოლო ის მამულები, სადაც სხვა და სხვა შენობა ან ქარხანა უკვე არის, ის რჩება მის პატრონს და ეტოვება 1 დესეტინა მამულიც აქ საკითხი მარტივად არის დასმული საკამათოც არაფერია. რა ბედი ხვდება ამ მამულებს, ამას ჩვენ სათანადო კანონ-პროექტი დაგვანახვებს, ჩვენ კი ჯერ-ჯერობით, ვიდრე მასალები არ არის შეკრებილი, ვერაფერს ვიტყვით. ზოგიერთებისათვის შეიძლება ამ თავითვე იყოს, თუ როგორ უნდა მოხმარდეს ეს მამულები: ამათ ყოველ შემთხვევისათვის აქვთ რეცეპტი და ისე სწყვეტენ ყოველ საკითხს. ჩვენ და ჩვენ მთავრობას ასეთი რეცეპტები არ აქვს.

გ. გვაზავა (ნ.—დ.) ბატონებო! ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ეს დამფუძნებელი კრებაა, და თქმა იმისა, რომ ის დეკრეტი აგრარული კანონის გაგრძელებააო, ყოვლად შეუძლებელია, ეს დეკრეტი ლოგიკურად დარღვეულია, რადგან ემყარება იმ კანონს, რომელიც დამფუძნებელ კრებას ჯერ არ განუხილავს.

მომხ. კ. ნინიძე იცავს დეკრეტის პროექტს.

დეკრეტის პროექტი მუხლობრივი განხილვის შემდეგ მიღებულია უცვლელად. ყველა შესწორება და წინადადება უარყოფილია.

ივლისის 5-ის კანონის შეცვლა.

მომხ. ა. ჭიაბრიშვილი (საფინანსო კომ. წევრი) ბატონებო! სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა სა-

ლიკვიდაციო შემწეობის შესახებ 1918 წლის ივლისის 5-ს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი, რომლის მეორე მუხლის ძალით მოსამსახურე, რომელიც დათხოვნილი იქნება დაწესებულებათა გაუქმების, გარდაქმნის ან შტატის შემცირების გამო, მიიღებს დახმარებას შემდეგი წესით: თუ უმსახურია 6 თვემდის, მიიღებს დახმარების სახით ერთი თვის ჯამაგირს, თუ უმსახურია 6 თვიდან ერთ წლამდე, თვე-ნახევრის ჯამაგირს და თუ უმსახურნია ერთ წელზე მეტი ორი თვის ჯამაგირს, მხოლოდ ეს დახმარება არ უნდა აღემატებოდეს ას თუმანს. დახმარებაც მიეცემა იმ ჯამაგირის კვალობაზე, რომელიც დათხოვნის დროს ჰქონდა. ეს მეორე მუხლი 5 ივლისის კანონისა შეცვლილი უნდა იქნეს, რადგან პირობები შეიცვალა და სალიკვიდაციო მოსამსახურეები დღეს სულ სხვა გვარის არის ვიდრე ეს აქამდე იყო. ეს მუხლი შემდეგნაირად უნდა შეიცვალოს: მოსამსახურენი, რომელნიც დათხოვნილნი არიან დაწესებულებების გაუქმების გამო, ან რეორგანიზაციის, ან შტატების შეცვლის გამო, იღებენ ფულით დახმარებას ერთ მეთორმეტედს თვიური ჯამაგირისა ყოველი თვიური სამსახურისთვის. მაგრამ არა ნაკლებ ორი კვირის ჯამაგირისა. ეს დახმარება გამოიანგარიშება იმ ჯამაგირის მიხედვით, რომელსაც დათხოვნილი დათხოვნის დროს ღებულობდა.

კანონ-პროექტი მიღებულია უცვლელად.

იოსებ ოცხელის ხსოვნას

ოცდაათ წელზე მეტია, რაც იოსები გავიცანი. სტუდენტები ვიყავით, იოსები სწავლობდა ადესაში, მე კი მოსკოვში. ჩემდა ხასიამოვნოთ შავ ზღვაზე მგზავრობის დროს ყოველ წლობით ვხვდებოდი ხოლმე იოსებს. გაცნობისთანავე მასში შევნიშნე ერთი ძვირფასი თვისება, რომელიც სიკვდილამდის იყო მისი დამამშვენებელი და ესოდენ იშვიათი სხვებში; ეს თვისება იყო გულწრფელობა. იგი იმდენად და მახასიათებელი იყო იოსების ბუნების, რომ ზოგ მის ამხანაგს ეჭვიც ეპარებოდა, მაგრამ მერმე და მერმე ყველანი რწმუნდებოდენ, რომ გულწრფელობა იოსების ერთი საუკეთესო თვისებათაგანია და უმთავრესი მიზეზი ჩემი მასთან დაახლოვებისა ეს გულწრფელობა იყო. ამავე დროს იოსები იყო მეტად მოსიყვარულე ადამიანი, რაც მან კარგად დაუმტკიცა ჩვენს საზოგადოებას თვისი საქმიანობით საზოგადოებრივ და პედაგოგიურ ასპარეზზე. მე ხშირად ვესწრებოდი იოსების გაკვეთილებს. იგი ჯადოსნურად ეპატრონებოდა ბავშვების ყურადღებას, ბღვივებდა მათში სიბრალულს ადამიანისადმი და საზოგადოდ ცხოველებისადმი. ერთ გაკვეთილზე იოსები ისე ხელოვნურად და გრძნობიერათ გადასცემდა ბავშვებს უსამართლობით ვილაცას ტანჯვას, რომ ბავშვებს თვალებზე ცრემლი მოერიათ და ამბავის დამთავრების შემდეგაც ბავშვებს დიდხანს ეტყობოდათ დაღონება, იმ ხანებში ამ გვარი სიბრალულის გაღვივება ჩვენს ბავშვებში მე არ მომწონდა, მე ღრმად მწამს, რომ სიბრალულის ჩანერგვა ბავშვებში კეთილი საქმეა, მაგრამ მე სახეში მქონდა ჩვენი განსაკუთრებული მდგომარეობა. ჩვენ ხალხს სხვისი სიბრალული და პატივისცემა საკმარისად ჰქონდა განვითარებული და ამავე დროს სხვა ერებში, მეტადრე ჩვენში შემოჭრილებში, არამც თუ არ ვხედავდი სიბრალულს გრძნობას პირიქით, მათში შეუბრალებლობა დაკაციჭამიობა იყო გამეფებული.

ამისათვის ჩვენდა სამავნებლათ მიმაჩნდა (თუმცაღა ამგვარი აზრების მიმდინარეობა ჩემს თავში რაღაც უხერხულად მაშინაც მიმაჩნდა) ჩვენს ახალგაზრდობაში გაღვივება იმგვარ თვისებათა, როგორიც არის სიბრალული და სტუმართმოყვარეობა. მაგრამ ცხოვრებას რომ კარგად ჩაუკვირდი, უფრო დავრწმუნდი, რომ იოსები მოქმედობდა, როგორც ნამდვილი პედაგოგი, დავრწმუნდი, რომ კარგია სიბრალულის გაღვივება ახალგაზრდობაში, რადგან ადამიანებში ტლანქი და ცხოველური გრძნობები უფრო სჭარბობენ, მხოლოდ შესაფერისი გარემოებაა საჭირო, რომ ეს თვისებები გაბატონდნენ. დღეს მტკიცედ მწამს, რომ კაცობრიობა ბევრს მოიგებდა, თუ აღმზრდელები სიბრალულის გრძნობას უფრო მტკიცედ გააღვივებდენ ახალგაზრდობაში.

იოსები ისეთი მშვიდი იყო, ისეთი მოსიყვარულე იყო ადამიანის, რომ მე ერთხელაც არ მსმენია მისგან ვისიმე საყვედური. ამის გამო მისგან არ მოველოდი პირშიმთქმელობას და ის კი პირში მთქმელი იყო.

მე ეს პირადად გამომიცდია იოსებისაგან, მაგრამ მისი პირშიმთქმელობა ყოველთვის იყო გამოწვეული კეთილშობილი ბუნებისაგან და ადამიანის სიყვარულისაგან, რის გამო უსიამოვნობის მაგივრად რაღაც სიამოვნებას და ლმობიერობას გვრიდა ადამიანს. იოსები მეტად თავდაჭერილი იყო, უკანონობას ის ებრძოდა აუღელვებლად და ეს მე მაკვირვებდა, რადგან კარგად ვიცოდი მისი გულის ნაკლულევანება, რაზედაც ხშირად შემომჩიოდა ხოლმე. მე ვიცოდი მისი გულის ნაკლი, ვაიმედებდი, რომ გულში საშიშო არა აქვს რა მეთქი, მაგრამ ჩემი რწმუნება მას არ აჯერებდა. ეს გულის სისუსტე იყო მიზეზი, რომ მან, ჯერ სულით ძლიერმა, ვერ გადაიტანა წინწკლებიანი სახადი. დაგვეკარგა ძვირფასი და საუკეთესო ადამიანი, ძვირფასი მასწავლებელი და ეს იმ დროს, როდესაც ამ გვარი ადამიანები უფრო მეტად გვესაჭიროება.

ე. ვაშაკიძე.

საქ. პასუხისმგებელ მოხელეთა არტელი

საქართველოს პასუხისმგებელ მოხელეთა არტელის დამაარსებელთა და წევრთა პირველ დამფუძნებელ საზოგადო კრების 13 ამ თვის ოქმიდან. (კრება შესდგა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკის ბინაზ პ. გოთუას თავმჯდომარეობით; მდივანი მხეიძე).

საკითხი

§ 1. არტელის სათავდებო, საწევრო, სარეზერვო და საინვენტარო თანხების განსაზღვრა.

დადგენილება

არტელში მიღებულმა წევრმა სათავდებო, საწევრო და სარეზერვო თანხების დასაფარავად უნდა გადაიხადოს ათი-ათასი მანეთი და ინვენტარისათვის დამატებით 200 მანეთი; არტელში ჩაწერისთანავე წევრმა უნდა წარადგინოს არტელის კასაში 3200 მანეთი; დანარჩენ თანხას კი იხდის ნაწილ-ნაწილად არტელის გამგეობისა და სათათბირო სარევიზიო კომისიასთან შეთანხმებით.

საკითხი

§ 2. სახელმწიფო ენაზე ბუჰგალტერიის შესასწავლად არტელთან შესაფერი კურსების დაარსება.

დადგენილება

დაევალოს არტელის გამგეობას ამ საკითხის სისრულეში მოსაყვანად ამ თავითვე მიიღოს საჭირო ზომები და შედეგი ეცნობოს მომავალ საზოგადო კრებას.

საკითი

§ 3. არტელის მართველ ორგანოს არჩევა.

დადგენილება

კრებამ ერთხმად აირჩია: არტელის საპატიო თავმჯდომარეებად: საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობის თავმჯდომარ, პ, ა. გოთუა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე. არტელის გამგეთ სოხუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, კონსტანტინე გიგინეიშვილი. მის ამხანაგად, წვრილი კრედიტის ინსპექტორი დავით ჩხეიძე. გამგეობის წევრებად: სახაზინო რკინის გზის მთავარი კასისირი ივანე სიმონისძე კანდელაკი და თბილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მთავარი ბუჰგალტერი სოფრომ ტარუაშვილი. არტელის სათათბირო-სარევიზიო კომისიაში: თბილისის სამაზრო ერობის გამგეობის წევრი ესტატე ავალიშვილი, ჭიათურის შავი ქვის მწარმოებელთა საბჭოს მთავარი კასირი გიორგი ნანეიშვილი და კახეთის უმთავრესი ბუჰგალტერი ვახტანგ ჟორდანია.

დედანთან სწორია: საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა ყრილობის საბჭოს თავმჯდომარე. მდივანი კ. მხეიძე.

აზერბაიჯანი

ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტი.

პროფეს. ლევინის, დ—ქტ. გინდერსის და ოკინევიჩის საქ. მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგ გამოირკვა, რომ ახლო მომავალში ამიერ კავკასიის უნივერსიტეტს თბილისიდან ბაქოში გადაიტანენ.

ბაქოს უნივერსიტეტში სექტემბრიდან იქნება ოთხი ფაკულტეტი: სამკურნალო, საბუნების-მეტყველო, იურიდიული და აღმოსავლეთისა. უნივერსიტეტი გაიხსნება ბაქოს კომერციულ სასწავლებელში; სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი კი მოწყობილი იქნება სასტუმრო „ინტერნაციონალში“.

აზერბეიჯანის მთავრობამ ამ საქმისთვის გადასდო 10 მილიონი.

უნივერსიტეტის რექტორად იქნება პროფესორი რაზუმოვსკი.

ჩრდილო-კავკასია

სამხედრო წესები

დაღესტნის, ჰასა-იურტისა და ჩერქეზეთის ოლქებში სამხედრო წესები გამოცხადდა.

მობილიზაცია

მთელ დაღესტანში გამოცხადდა მობილიზაცია.

ჩერქეზთა და ინგუშთა ჯარები უკვე მოკრეფილია.

სამხედრო ცნობა

აპრილის 2 და 3-ს სოფ. ალხან-იურთს, კულორის და ბერდიკელს მტერმა ალყა შემოარტყა. ალხან-იურტის მცხოვრებნი დაიხიზნენ. ბრძოლაში დაეცა ჩვენი 400 მეომარი.

ალხან-იურთში დარჩენილი ქალები და ბავშვები, 80 კაცამდე ყაზახებმა შეუბრალებლად დაჰხოცეს. აპრილის 4-ს უსტარ-გარდოსთან ჩვენ გავანადგურეთ მტერი და მოუკალით 1.000 კაცამდე.

შატილოვის დაჭრა

მთიელთა წინააღმდეგ მებრძოლ ჯარების მთავარ სარდალი შატილოვი თავში და მხარში დასჭრეს. შატილოვი ეკატერინოდარში ჩაიყვანეს.

საზავო მოლაპარაკება

მთიელთა მთავრობამ აპრილის 7 მოხალისეთაგან მოწვევის ცნობა მიიღო. მოხალისენი აპრილის 10-სათვის მთიელთა წარმომადგენელს გროზნაში იწვევენ, სადაც ჩავლენ მოკავშირეთა წარმომადგენელნი და დენიკინი.

გუდერმესის აღება

უკანასკნელი ცნობებით მოხალისეებმა დიდი ბრძოლის შემდეგ გუდერმესი აიღეს.

ყუბანი

მოხალისეთა ჯარის და ბოლშევიკების მოლაპარაკება.

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ გენ. დენიკინი საბჭოთა მთავრობასთან არა ოფიციალურად აწარმოებს მოლაპარაკებასაო, მოლაპარაკება დავალებული აქვს გენ. კუროპატკინს. დენიკინი მოითხოვს კოალიციონურ მთავრობის შედგენას და დამფუძნებელ კრების მოწვევას. ბოლშევიკები არაფერს არ უთმობენ.

ამბობენ, რომ გენ. კუტორი და სხვანი იმისთვის არას უთმობენ, რომ ბოლშევიკები ასე თუ ისე რუსეთის ტერიტორიას მაინც აერთებენ.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

14 აპრილი.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი, აპრილის 12. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

№-ის არმიის შტაბი. უკრაინის საბჭოთა ჯარმა ბახჩისარაისკი და იალტა აიღო.

ჯანკოი. აპრილის 11. საბჭოთა მთავრობის ყირიმის ჯარმა სადგური ჯანკოის დაჭერის შემდეგ ყველა მიმართულებით შეუტია მტერს და დევნის მას. მოწინააღმდეგის მთავარი ძალები ფეოდოსიისკენ იხევს.

მოსკოვი, აპრილის 12. სამატარებლო გაზეთში, გზაში, ტროცკი აკეთებს უკანასკნელ დღეების, პოლიტიკურ ამბების მიმოხილვას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ გაზაფხულის თვეები ევროპის ისტორიას გადასწყვეტს. კოლჩაკის ნაწილობრივი გამარჯვება უმნიშვნელოა შედარებით საბჭოთა მთავრობის წარმატებასთან რუსეთში და მთელ მსოფლიოში.

მოსკოვი, აპრილის 12. წერილში სათაურით „რა უნდა კოლჩაკს“— ტროცკი ამბობს: კოლჩაკმა დაიწყო დამფუძნებელი კრებიდან და ეხლა პირდაპირ ლაპარაკობს სამეფო ტახტზე. კოლჩაკი ხელმძღვანელობს ყველა ექსპლოატატორებს, მტაცებლებს და ყველა მათ, ვისაც სძულს მუშათა კლასი. კოლჩაკის დროშას აწერია: „სიკვდილი მშრომელ მასას“, რომ კოლჩაკს გაემარჯვებინა, ის ასი-ათასობით ჩაახრჩობდა სისხლში რუსეთის მუშებს და გლეხებს, და ამით შურს იძიებდა იმ დამარცხებისათვის, რომელიც მათ პარაზიტულ კლას მიაყენეს. ურალის ერთი მხრით კოლჩაკია, მეორე მხარეა—მუშათა და გლეხთა რუსეთი. მან იცის, რომ მისი ხსნა კოლჩაკის დამარცხებაშია. ურალი მთავარი ბარიკადაა მუშათა და გლეხთა რუსეთისთვის. წითელი ჯარისკაცნი ურალისკენ. ბარიკადისაკენ წინ.

კოპენჰაგენი, აპრილის 9. დანიის სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა გაფიცვა თანდათან იზრდება. მეზღაურებმა გადასწყვიტეს არაფერი დაუთმონ მთავრობას.

სტოკჰოლმი, აპრილის 9. ვენაში მეზღვაურთა დეპუტატების საგანგებო სხდომამ გამოიტანა რეზოლიუცია ავსტრიის მეზღვაურთა ძალა უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად გამოიყენენ.

ვარშავა. აპრილის 3. მინისტრთა საბჭომ დაადგინა პოლონეთში სამხედრო წესები გამოაცხადონ. ეს გადაწყვეტილება აგრარულ ნიადაგზე არეულობამ და ლიუბლინის და დომბროვსკის რაიონში გაფიცვამ გამოიწვია.

რიგა, აპრილის 12. რადგან რიგას და რიგის მაზრას პირდაპირი სამხედრო საშიშროება აღარ მოელის, გადაწყდა სამხედრო საბჭო და დვინსკში საბჭოთა მთავრობის ბიურო გააუქმონ.

ბუდაპეშტი, აპრილის 12. ყველა ნიშნები მისი მაჩვენებელია, რომ ბავარიის შემდეგ კომუნიზმი ბრაუნშვეიგში გაიმარჯვებს.

ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოებმა ულტიმატუმით მოსთხოვეს ლანდტაგს, გადასცეს მათ ძალა-უფლება. საბჭოთა მთავრობის გამოცხადებას ამ მოკლე ხანში უნდა მოველოდეთ. დიუსელდორფში შეტაკებაა. ყველა თვალსაჩინო დაწესებულებებში მუშაობა შეჩერებულია. დანციგში გაფიცვები იზრდება. ვოგზალში მუშებსა და ჯარს შორის შეტაკება მოხდა. მიუნხენის ამბებმა გერმანიაში ახალი მღელვარება გამოიწვია. გერმანიის ქალაქებში კომუნისტებმა აგიტაცია გააძლიერეს. ბერლინის ბანკების მოსამსახურენი გაიფიცნენ. მუშების გაფიცვები გრძელდება. მთავრობის ჯარი აჯანყებულების წინააღმდეგ იძულებით მოქმედებს. ლეიპციგის, ჰამბურგის და ფრანკფურტის (მაინზე) ბანკის მოსამსახურეებმაც გაფიცვები დაიწყო.

ბუდაპეშტი, აპრ. 12. რურის ოლქში მთავრობა ყოველ ძალას ხმარობს, რომ ხელი შეუშალოს საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადებას.

ვარშავა, აპრ. 11. მუშათა დეპუტატების კრებამ დაადგინა ყოველი ღონისძიებით დაეხმაროს ფაბრიკის გაფიცულ მუშებს, რომელნიც სამხედრო უწყებისთვის მუშაობდენ. საბჭომ ენერგიული პროტესტი განაცხადა პოლონეთის სამხედრო წესების გამოცხადებისთვის. საბჭო გაბედულათ მოქმედებს.

მოსკოვი, აპრ. 12. ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმმა გამოიმუშავა გეგმა პირველი მაისის უქმის მოსაწყობათ. თეატრები იმ დღეს დაკეტილი იქნება. ხელოვნებას ქუჩაზე გამოიტანენ. არტისტები სათეტრო კოსტიუმებში ავტომობილებით ივლიან და მოედნებზე გაუმართავენ ხალხს წარმოდგენებს.

მოსკოვი, აპრ. 12. სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირების შეერთებულ სხდომაზე ლენინმა სთქვა: „აუცილებელია ერთხელ და სამუდამოთ გათავდეს სამოქალაქო ომი. მთელი ჩვენი ძალა სამხრეთისკენ უნდა (დამახინჯებულია). ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ჩვენ იძულებული ვართ ვმართოთ ქვეყანა მოუმზადებელ და უღირს ელემენტების დახმარებით. მაგრამ შეიძლება განა პირველ რიგში დავაყენოთ ეს ნაკლი? ეხლა იმაზეა ლაპარაკი, ვის ემსახურონ? კონტრ-რევოლიუციას—კოლჩაკის სახით, თუ მუშათა საქმეს საბჭოთა მთავრობის სახით. შუა ადგილი არ არსებობს.

მოსკოვი აპრილის 13. სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი: ლიდის რაიონი. მზვერავთა მოქმედებაა. მოზირის დაჭერის დროს ბელორუსთა და ლატიშელთა წითელმა ჯარმა 2 გემი იგდო ხელთ. სამხრეთის ფრონტი. ჩვენ დავიჭირეთ სად. ავდეევკა და სოფ. ოლხოვატკა. აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა კვლავ დაიჭირა გეორგიევსკაია. მილეროვის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს და დაიჭირა სადგურები: კამენსკაია, პოპოვკა და კოგონოგოვო, წამოიყვანეს 200 ტყვე, ხელთ იგდეს 10 ტყვიისმფრქვეველი და დიდძალი სამხედრო დავლა. სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა მოწინააღმდეგეს სძლია. გადავიდა მდ. სევერნი დონეცზე კალიტკინის რაიონში და დაიჭირა სად. რუჩნაია და მის ახლო-მახლო სოფლები. ველიკოკნიაჟის მიმართულება: მტრის დიდმა ძალებმა იერიში მოიტანეს მდ. სილთან ზოლოტორეჟსკაიაზე, მაგრამ ჩვენმა ჯარმა კონტრ-იერიშით მტერი ბალოსლავისკენ უკუ აგდო. ამასთანავე მტრის დევნის დროს წამოვიყვანეთ 500 ტყვე, ხელთ ვიგდეთ მრავალი ტყვიისმფრქვეველი და სხვა სამხედრო დავლა. კასპიის რაიონი: ყიზლარის მიმართულება: ჩვენ დავიჭირეთ სერებრიაკოვსკაიას ნავთსადგური. აღმოსავლეთის ფრონტი ურალის, ორენბურგის და ბუგურუსლანის რაიონები: მდგომარეობა უცვლელია. ულმინის რაიონი. მტრის ძალდატანებით ჩვენი ფლანგები 3-5 ვერსით უკან იქნა დაწეული. მენზელინის რაიონი: მდ. ბელაიას შესართავთან მტერმა ჩვენს ჯარებს რამდენიმე ვერსით ჩრდილოეთისკენ დაახევინა. სარაპულის რაიონი: რკინის გზის სამხრეთით ჩვენმა ჯარმა 10 ვერსით უკან დაიხია კიბაევიდან. ჩრდილოეთით იჟევის რკინის გზის გასწვრივ მტერი შეტევას აწარმოებს. ოხარის რაიონში ჩვენმა ჯარმა 10 ვერსით უკან დაიხია ახალ პოზიციებისაკენ. პერმის რაიონში ადგილობრივ მნიშვნელობის ბრძოლა სწარმოებს.

რიგა აპრ. 12. საბჭოთა ლიტვის სამხედრო ცნობა. აპრილის 11. ლიფლიანდიის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია. კურლიანდიის ფრონტზე დრო გამოშვებითზარბაზნების სროლაა. შტალგის ფერმის რაიონში მდ. აას მარჯვენა ნაპირზე ჩამოვაგდეთ მტრის ჰაეროპლანები, რომელიც გერმანელთა რაიონში ჩამოვარდა. პონევეჟის რაიონი: ჩვენ მზვერავებს შეტაკება უხდებათ თეთრგვარდიელებთან, რომლებიც, ვითომდა მუშათა და გლეხთა სახელით, სოფლებში და გზებზე ავრცელებენ პროკლამაციებს, რომელშიაც მოუწოდებენ მიატოვონ წითელი არმია. მარიენბერგის მიმართულებით სად. ჰოფენის რაიონში ჩვენმა ჯარმა ხელთ იგდო მტრის ჯავშნიანი მატარებელი. ამ ფრონტზე თეთრგვარდიელებს ქონდათ 4 ჯავშნიანი მატარებელი, 2 დავაზიანეთ და 1 წავართვით.

მტერს მხოლოდ 1 დარჩა. ჩვენ მხარეზე გადმოსულთა სიტყვით ლიფლიანდიის ფრონტზე მას შემდეგ რაც ტროცკის ბრძანება მოვიდა, რომ ტყვეები არ დახვრიტონ მოწინააღმდეგის ჯარში დიდი აგიტაციაა ჩვენ მხარეზე გადმოსვლის სასარგებლოთ. აპრ. 28. რეველში დამფუძნებელი კრება გაიხსნება.

ბუდაპეშტი, 12. წინანდელ მუნიციპალურ საბჭოს მაგიერ ბუდაპეშტის მუშ. და ჯარ. დეპ. ყველა სარაიონო საბჭოები აირჩევენ 500 წევრისაგან შემდგარ ცენტრალურ საბჭოს. ზოგმა საბჭომ აირჩია კიდევ თავისი წარმომადგენლები.

ნაუენი, აპრ. 11. საბჭოთა ყრილობის სხდომაზე დამოუკიდებელთა შორის მოითხოვდენ გაფიცვის გამოცხადებას. დამოუკიდებელმა ბრაზემ სთქვა, რომ კრუპის ქარხნებში აღმოჩენილი იარაღი ამტკიცებს, რომ მზადდება კონტრ-რევოლიუცია. მეუმრავლესე სოციალისტებმა ენერგიულათ უარყვეს ეს ცნობა.

მოსკოვი, აპრილის 12. პეტროგრადის საბჭოს პროფესიონალურ კავშირის არა ჩვეულებრივ სხდომაზე, რომელიც 12 აპრილს მოიწვიეს აღმოსავლეთის ფრონტზე მომხდარ ამბების შემდეგ, მენშევიკების წარმომადგენელმა კამენსკიმ წინადადება მისცა საბჭოთა მთავრობას ხელი გაუწიოს პროლეტარიატს საღ ძალას, თუნდ არა ბოლშევიკებს. ჩვენ, ბრძოლის ამ მომენტში ამბობდა კამენსკი, არ გვინდა დავრჩეთ ნეიტრალურათ, მაგრამ ეს თქვენზეა დამოკიდებული. თქვენ უნდა შექმნათ ერთი სოციალისტური ფრონტი, თავმჯდომარე აკცეტკოვიჩმა სთქვა: თუ მენშევიკები აღიარებენ კოლჩაკთან ბრძოლას, შეგვიძლია მოვესალმოთ მათ. მიიღეს აკცეტკოვიჩის რეზოლიუცია მუშათა ბატალიონის დაარსების შესახებ.

ნოვოალექსანდროვკა. აპრ. 11. მოსული ცნობების თანახმად, სევასტოპოლში ძალა-უფლება მუშათა და გლეხთა დეპუტატების ხელში გადავიდა.

მოსკოვი, აპრ. 13. ამხანაგი გრიცმანი, რომელიც ციმბირით მოსკოვში ჩამოვიდა ხწერს „პრავდაში“: კოლჩაკმა ჯარში გაიწვია მცხოვრებლები იმ ანგარიშით, რომ ყოველ 5 ჯარის კაცზე 1 აფიცერი იქნებოდა. კოლჩაკისადმი მოკავშირეების მხრით დახმარება მცირე იყო. მოკავშირეების მიზანი, ჩაიგდოთ ყველაფერი ხელში, გამოირკვა, რკინის გზები კარგად არ მოქმედებენ. მთელი დასავლეთ ციმბირში დაწყებული ამურის ოლქიდან შიმშილობაა. კოლჩაკის ჯარს არა აქვს ტანისამოსი, ფეხსაცმელი და იარაღი,

მცხოვრებთა შორის არეულობა ხდებოდა. მცხოვრებნი კოლჩაკის წინააღმდეგ არიან. ვლადივოსტოკში ქალაქის საბჭოს არჩევნებში კომუნისტები გავიდენ. არჩევნები გააუქმეს. ახალ არჩევნებს მცხოვრებთა რვა მეათედმა ბოიკოტი გამოაცხადა.

ლიონი. აპრ. 12. კომისია, რომელიც დანიშნულია ხალხთა ლიგის პროექტის შესამუშავებლად. ასე სწყვეტს საარის მაღაროების საკითხს: ფრანგები მიიღებენ მაღაროებს [illegible] ნახშირს, რამდენსაც [illegible] გერმანელების მიერ განადგურებული საკუთარი მაღაროები. როგორც სჩანს, ეს მოასწავებს, მას რომ ფრანგები მაღაროებით ისარგებლებენ 15 წლის განმავლობაში. პოლიტიკურათ საარის ოლქი ხალხთა ლიგას დაექვემდებარება. საარის ოლქში მოახდენენ პლებისციტს, რომელიც გამოარკვევს ვისი იქნება ეს ოლქი.

პსკოვი, აპრ. 12. პეჩორის აღმოსავლეთით თეთრგვარდიელებმა გამოუშვეს შვედების რაზმი, რომელიც წითელმა ჯარმა დაამარცხა.

ჩერნიგოვში, აპრ. 12. ფრონტიდან მოსული ცნობები მოწმობენ, რომ პეტლიურას ჯარში სრული დემორალიზაციაა. კოროსტენის რაიონში ამ უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში წითელი ჯარის მხარეზე გადმოვიდა 15,000 კაცზე მეტი.

ვენა, აპრ. 3. ვენის ბურჟუაზიული პრესა ბუდაპეშტის მდგომარეობას ცუდათ აღწერს „ნეიე ფრეიე პრესსე“ სწერს ჰუნგრეთის გადატრიალება პათოლოგიური მოვლენაა. კლერიკალური „რეიხსპოსტი“ აცხადებს, რომ ბუდაპეშტის მთავრობა ებრაელებისაგან შესდგება. რომლებიც ცდილობენ უნგრეთის კომუნიზმის გადატანას იორდანის ნაპირზე. მაშინ, მელანქოლიურათ აღნიშნავს, „რეიხსპოსტი“ ჰუნგრეთი განთავისუფლდებოდა ბოლშევიზმისაგან.

ნაუენი. აპრ. 12: ქვანახშირის რაიონში გაფიცვები პოლიტიკურ ხასიათს ღებულობს. კომუნისტები დემონსტრაციებს ახდენენ. მოითხოვენ კავშირს საბჭოთა რუსეთთან და უნგრეთთან. განოვერში მუშათა კომიტეტმა საერთო გაფიცვა გამოაცხადა.

პარიზი, აპრ. 6. საფრანგეთის ბურჟუაზიული გაზეთები იხილავენ მსოფლიო ბოლშევიზმზე მშვიდობიანი გზით გავლენის საშუალებებს: აღნიშნავენ, რომ მას შემდეგ, რაც უნგრეთმა და ბავარიამ კომუნიზმის დროშა აღმართეს, გერმანიაში კი—იწყება რუსეთის პროლეტარიულ რევოლიუციის მსგავსი ამბები, რუსეთის საკითხი არ შეიძლება განხილულ იქნას ცალკე. გაზეთები წინადადებას იძლევიან, დაამშვიდონ ხალხი, მისცეთ საშუალება რუსეთს დადგეს ფეხზე. გერმანიას კი—აირჩიოს ახალი ხელმძღვანელნი, რომელნიც ძველი რეჟიმის დამხმარე არ იყვნენ.

კიევი. უკრაინის საბჭოთა ჯარმა ჟიტომირი დაიჭირა.

ჟმერინკა. აპრ. 12. მოგილევთან და პოდოლსკთან საბჭოთა ჯართან შეტაკების შემდეგ რუმინელებმა ბესარაბიაში უკან დაიხიეს, კამენეც-პოდოლის-პროსკუროვის ხაზი სრულიად გაიწმინდა პეტლიურას ჯარისაგან. დნესტრის ჩრდილოეთით ნაპირი გაიწმინდა რუმინელ ჟანდარმებისაგან. აღმოსავლეთით საბჭოთა რაზმები და მოლდაველები ტირასპოლის მაზრაში რუმინელებს ავიწროვებენ. გაქცეული რუმინელები სოროკასთან დნესტრის მეორე მხარეზე გადადიან. საბჭოთა ჯარი სიროკოსთან წინსვლას განაგრძობს.

ჩერნიგოვი. აპრ. 2. კოროსტენის რაიონში პეტლიურას ჯარის რამდენიმე პოლკმა უარი განაცხადა სამხედრო მოქმედებაზე და გამოსთქვეს სურვილი წითელი ჯარის მხარეზე გადავიდნენ.

ნიკოლაევი. აპრ. 10. ეკატერინოდარში გაფიცვების გამო ტრამვაი მუშაობს. არ გამოდის გაზეთები. არ არის სინათლე. შესწყვიტეს მუშაობა რკინის გზის მოხელეებმა.

ბუდაპეშტი, აპრ. 10. ყველა დიდ ფაბრიკა-ქარხნების და სამრეწველოების კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია მუშათა დამხმარე ჯარის შედგენისა. მუშები ყოველთვის მზად არიან იარაღით ხელში დაიცვან რევოლიუციის მონაპოვარი.

ბუდაპეშტი. აპრ. 10. გერმანიის მუშები შეიდემანის მთავრობას თანდათან სცილდებიან. განთავისუფლებულ ლეორბურგის მოთხოვნილებას მიემხრო მთავრობის სოციალისტების უმეტესი ნაწილი. შეიდემანს და ვეიმარს განზრახვა აქვთ, ნოსკეს გერმანიის დიქტატორად გამოცხადება. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა დიდ ენერგიას იჩენს, მისი გადადგომა აუცილებელია. მიუნხენის ამბებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბერლინის მუშებზე. მთავრობის მიერ სამხედრო მზადების გამო დამოუკიდებელი სოციალისტები კომუნისტებისკენ გადადიან.

გერმანული პრესა

ბავარიის მთავრობა.

ვიურტემბერგის, ბადენის და ჰესსენის მთავრობებმა ერთათ განაცხადეს, რომ ბავარიის ერთად ერთ სიხალხო მთავრობათ ისინი აღიარებენ ჰოფმანის მინისტრთა კაბინეტს.

მდგომარეობა მაგდებურგში.

მდგომარეობა მაგდებურგში გამწვავდა. ნავთსადგურის ახლო ყაჩაღებმა გატეხეს პურის საწყობები და გაცარცვეს. მსხვილ სამრეწველოების მუშების ფარულმა ხმის მიცემამ გამოარკვია, რომ მუშების სამი მეოთხედი გაფიცვის წინააღმდეგია. ღამე მომხდარმა სროლამ რამოდენიმე უდანაშაულო კაცი იმსხვერპლა. ამბობენ, რომ მძარცველთა შორის იყვნენ აგრეთვე წითელ ჯარისკაცთა საბჭოს წევრნი. განზრახული იყო მაგდებურგის „იუსტიციის სასახლეზე“ თავდასხმა, მაგრამ ვერ მოახერხეს.

სოც. დემოკრატები გაფიცვაზე.

მაგდებურგში სოც.-დემ. კავშირი მუშებს არწმუნებს გაფიცვაში მონაწილეობა არ მიიღონ, ამბოხებისაგან თავი შეიკავონ და სამუშაოს დაუბრუნდნენ.

ლეიპციგში სოც.-დემ. პარტიის გამგეობა მუშებს აფრთხილებს საერთო გაფიცვას არ შეუერთდენ.

გაფიცვები საქსონიაში.

საქსონიის ქვა-ნახშირის ოლქში გაფიცვები იზრდება. მუშებმა ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნილებანი წარადგინეს. მოხდა დემონსტრაციები, უმთავრესათ ქალაქის თვითმართველობის და მთავრობის შენობის წინ. დემონსტრაციები მშვიდობიანათ ჩატარდა.

მოხალისეთა კორპუსი ესენში

გაძლიერებული საალყო წესები გამოცხადდა დიუსელდორფში, ესენში და მის მიდამოებში. მოხალისეთა კორპუსები ესენში შევიდენ და რამოდენიმე კაცი დააპატიმრეს. მოხალისეთა კორპუსს რამოდენიმე კაცი მოუკლეს.

მუშაობის განახლება რურში

უკანასკნელ 2 დღის განმავლობაში გაფიცულთა რიცხვი არ გადიდებულა. რურის ოლქში მრავალ მაღაროში სამშაბათს მუშაობა გაახალეს.

საპროტესტო გაფიცვა

მიულჰეიმში 55 სპარტაკელთა დაპატიმრების გამო პროტესტის ნიშნათ გაიფიცა ყველა სამრეწველოების მუშები. მიულჰეიმი და ახლო მახლო ქალაქები ამის გამო მოკლებული არიან წყალს, გაზს, და ელექტრონის ენერგიას.

მდგომარეობა მაგდებურგში.

მაგდებურგში მდგომარეობა თან დათან რთულდება. შეიარაღებულმა მცარცველებმა ღამე პურის ელევატორები გატეხეს და 700,000 მარკაზე მეტი ზარალი მიაყენეს. მაგდებურგის პოლიციის უფროსი, დამოუკიდებელი სოც-დემ. ფატერი, რომელსაც ამბოხებაში მონაწილეობის მიღება ბრალდება, სამსახურიდან დაითხოვეს. გაზეთები იხსენიებენ, რომ უფრო წინათ სასტუმროს პატრონი იყო და დამოუკიდებელთა სასარგებლოთ აგიტაციას ეწეოდა. ფატერმა რევოლიუციის მეორე დღეს განაცხადა, რომ დამოუკიდებლები ეხმარებოდენ დეზერტირებს, ფულს აძლევდენ მათ და ფრონტზე აბრუნდებდენ, რომ დისციპლინის დასაცემათ ემუშავნათ.

სამშაბათს ღამე ბრბო ეცადა იერიშით აეღო ქალაქის თვითმართველობის შენობა, მაგრამ უკუ აქციეს. ღამე მოხდა სროლა, რომლის დროს 1 მოკლეს, რამდენიმე დასჭრეს. ოთხშაბათს დილით მაგდებურგში შევიდა მინისტრ ნოსკეს მიერ გამოწვეული მთავრობის ჯარი, რომლისთვისაც სერიოზული წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

ფრანგული პრესა

ავიაციის მომავალი

საფრანგეთის სენატში ავიატორთა ერთი ჯგუფი მიესალმა ამერიკელ ელჩს, გარპის მისიის ამერიკაში წასვლის წინ. ზეიმს დაესწრენ მოკავშირეთა ავიაციის წარმომადგენლები საზავო კონფერენციაზე და აგრეთვე საფრანგეთის და შეერთებულ შტატების ჰაეროკლუბთა წარმომადგენელნი. სხდომა გახსნა საფრანგეთის ჯგუფის თავმჯდომარემ, რომელმაც თავის სიტყვაში დამსწრეთ გაახსენა, რომ სწორეთ 11 წლის წინათ საფრანგეთის სენატმა მიიღო პირველი ავიატორები. მაშ როგორია მომავალი ავიაციისა, რომელმაც მნიშვნელოვანი გამარჯვება უკვე მოიპოვა? აშკარაა, რომ ავიაცია სხვა და სხვა მიზნით იქნება გამოყენებული: ახალშენებისა და ამერიკასთან საფოსტო და სანიტარულ ურთიერთობისთვის.

ცნობილმა ქირურგმა პროფესორმა ტურფტერმა მოხსენება წაიკითხა მაროკოში მოგზაურობის შესახებ, საიდანაც ის ახლა დაბრუნდა გენ. გაუტეის თხოვნით. მომხსენებელმა აღნიშნა ის სარგებლობა, რომელიც შეუძლია მოიტანოს ავიაციამ სხვა და სხვა სფეროში. სხდომის თავმჯდომარე კრების სახელით მიესალმა ამერიკაში მიმავალ გარპის.

სომხეთის დეპეშა

საზავო კონფერენცია.

სომხეთის დელეგაციამ საზავო კონფერენციაზე პარიზში ამიერ-კავკასიიდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: ამიერ-კავკასიის სომხობას სერიოზული საფრთხე მოელის. მაჰმადიანებმა თავი მოუყარეს საკმაოთ დიდ ჯარს, რომელიც ოსმალო ოფიცრების ხელმძღვანელობით შესდგა შარურსა, ნახიჩევანსა, სურმალუსა და ყარაბახში. ამ ჯარებმა იარაღი აჰყარეს ადგილობრივ სომხურ ძალებს და გამოაცხადეს, რომ ოლქი აზერბეიჯანის მთავრობას ემორჩილება. მოსალოდნელია მდგომარეობის გართულება. საჭიროა მოკავშირეთა მთავრობებმა სწრაფი ენერგიული ზომები მიიღონ, რომ თათრები შეაჩერონ, თავიდან სისხლის ღვრა და მოსალოდნელი მდგომარეობის გართულება... (გაუგებარია). საგარეო საქმეთა მინისტრი ტიგრანიანი მიუთითებს რა ამაზე სომხეთის დელეგაციას და აგრეთვე მოკავშირეთა მთავრობებს, სთხოვს მათ დაუყოვნებლივ მიიღონ აუცილებელი ზომები. ამიერ-კავკასიაში ოსმალო ოფიცრების ყოფნას შეუძლია მოყვეს სერიოზული შედეგები. საჭიროა მოხდეს სომხეთის ჯარის რეორგანიზაცია, რომელიც ერთად ერთი წესიერების დამცველი ელემენტია.

ვილსონი ოთხთა საბჭოში

ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ვილსონი დაესწრო ოთხთა საბჭოს სხდომას, რომელზედაც განიხილეს საარის სამრეწველო ოლქის ექსპლოატაციის საფრანგეთისთვის გადაცემის პირობათა და ზარალის ანაზღაურების ტექსტი. „ტანი“ იმ აზრს გამოსთქვამს, რომ საჭიროა აღიძრას ომის წარმომშობი მიზეზების საკითხი. ომის განმავლობაში ჩადენილ დანაშაულებათ იურიდიულათ განიხილავენ.

მიტინგი პრაგაში.

პრაგიდან იუწყებიან, რომ სოციალისტების პირველი მიტინგი მოხდა ორშაბათს. მიტინგს მრავალი ხალხი დაესწრო. ორატორები მოითხოვდენ მოკავშირეებთან კავშირის დაცვის აუცილებლობას. შეთანხმება ბერლინთან, ბუდაპეშტთან და მოსკოვთან რესპუბლიკისათვის დიდი საფრთხე იქნება. მუშათა კლასმა მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ პროლეტარიატისთვის დამღუპველია ბალშევიკური რეფორმები.

ხალხთა ლიგა.

„დეილი ტელეგრაფ“-ის პარიზელ კორესპონდენტის ცნობით ხალხთა ლიგის საკითხი გადაწყვეტილია; ინგლისის და საფრანგეთის მჭიდრო კავშირი უზრუნველყოფს გერმანიის მიერ საზავო პირობების შესრულებას.

მიუხედავათ ლოიდ ჯორჯის და ბალფურის ავათმყოფობისა ზავის პირობების გამომუშავების საქმე კარგათ მიდის. საერთო აზრი ისეთია, რომ ზავს ამ თვეშივე მოაწერენ ხელს. უთანხმოება აღარ არსებობს.

„ტაიმსი“ ზარალის ანაზღაურებაზე.

„ტაიმსი“ სწერს: ზარალის ანაზღაურების საკითხები უკვე შემუშავდა. საფრანგეთის მოთხოვნილება საარის ოლქების და რეინის საზღვრების შესახებ დაკმაყოფილებულ იქნება. საკითხს ბელგიის საზღვრების შესახებ განიხილავენ და საზღვარი აღდგენილ იქნება. საბერძნეთმა აღიარა ბულგარიის უფლება მიეცეს მას ეგეის ზღვისაკენ გასავალი.

უცხოეთის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბერნის კონფერენციის კომისია რუსეთში.

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ ბერნის კონფერენციაზე რუსეთის საქმეების გასაცნობად ამოირჩიეს საგანგებო კომისია, რომელიც გაემგზავრება რუსეთში და მდგომარეობას ადგილობრივ გაეცნობა. მოსკოვის აღმასრულებელ კომიტეტს ამაზე ჰქონია მსჯელობა და დაუდგენია, ჩამოსულ კონფერენციას საბჭოთა მთავრობა ოფიციალურად არ შეეგებოს, რადგან, მათი აზრით, ეს კომისია წმინდა ბურჟუაზიული ინტერესების დამცველია. მიუხედავად ამისა, კომისიის წევრებს მიტინგებზე ლაპარაკის უფლება მაინც მიეცემათ, იმ პირობით კი თუ იმავე კრებაზე ბოლშევიკების რომელიმე ლიდერს საშუალება მიეცემა უპასუხოს.

გლეხთა აჯანყება.

გაზეთების ცნობით, სარატოვის და ნიჟეგოროდის გუბერნიაში პურის ძალით ჩამორთმევამ გლეხთა აჯანყება გამოიწვია საბჭოთა მთავრობის მიერ აჯანყებული ჯარი გლეხების ჩასაქრობად შეუერთდა. აჯანყებულია სულ 6 მაზრა. გლეხების რაზმები შეიარაღებულია ტყვიის მფრქვევლებით, ზარბაზნებითა და ჯავშნოსან ავტომობილებით. როგორც გაზეთებიდანა სჩანს, ამ მოძრაობის სულის ჩამდგმელნი მენშევიკები და სოც.-რევოლიუციონერები არიან.

ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ როცა გლეხებმა სტავროპოლის გუბერნიის ქალაქი არკარსკი აიღეს და „არკარსკის რესპუბლიკა გამოაცხადეს,“ რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში მხოლოდ მენშევიკები და ესერები შეხვდნენ.

—

უკანასკნელ ცნობებით ეს რესპუბლიკა საბჭოთა ჯარმა გაანადგურა, მისი ჯარების მთავარ სარდალი პოლკ. ჯევახოვია ჩამოახრჩეს.

საბჭოთა ჯარის დემობილიზაცია

ათეულთა საბჭო“-ს სტოკჰოლმით ჩეჩერინი ატყობინებს, რომ თეთრგვარდიელებს რუსეთის ტერიტორია ჩქარა გადავრეკავთ, მოყვარეებთან ზავს შევკრავთ და საბჭოთა ჯარის დემობილიზაციასაც ამის შემდეგ დაუყოვნებლივ მოვახდენთო. როგორც მკითხველი დაინახავს საბჭოთა ჯარის დემობილიზაცია ჯერ კიდევ დიდხანს არ მოხდება.

ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ რუსთა წარმომადგენელი

მაკლაკოვი პარიზიდან გენ. დენიკინს, იუდენიჩს და ადმირალ კოლჩაკს ატყობინებს: პოლიტიკურმა კრებამ პარიზში დაადგინა წინადადება მიეცეს გენ. დენიკინს, გენ. იუდენიჩს და ადმირალ კოლჩაკს ბოლშევიკთა წინააღმდეგ მოქმედ ყველა ძალების ხელმძღვანელობა და სამხედრო წარმომადგენლობა ჩაიბაროს გენერალ შჩერბაჩოვს. შჩერბაჩოვი დასთანხმდა. მის თანაშემწეთ დანიშნეს გენ. გოლოვინი.

ბოლშევიკების ჯარი.

„ტაიმს“-ს ჰელსინგფორსიდან ატყობინებენ: „სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ რომ ბოლშევიკებს შეიარაღებული ჰყავთ სულ 500,000 კაცი. მათი არტილერია უდრის 1000 ზარბაზანს.

ეს ნახევარ-მილიონიანი ჯარი სხვადასხვა ფრონტებზედ არის დაქსაქსული: არხანგელსკის ფრონტზე 15,000 კაცია სათადარიგოდ 10.000. ვიატკასთან 80,000—ბალტიის ზღვისკენ 20 ათასი—პეტროგრადში 8,000 და პერმის ფრონტზე 50.000 კაცი,

ქაღალდის გატანის აკრძალვა.

როგორც ხარკოვიდან იტყობინებიან სახალხო მეურნეობის საბჭოს უკრაინიდან ქაღალდის გატანა აუკრძალავს.

ბელგიის რესპუბლიკა

ოდესის გაზ. „Призыв“-ის მარტის 27-ის ნომერში დაბეჭდილია დეპეშა კოპენჰაგენიდან, რომელშიაც ნათქვამია ბელგიის მეფე ალბერტმა მოკავშირეებს განუცხადა რომ თანახმად ხალხის სურვილისა მეფობაზე უარს ვამბობ და ბელგიას დემოკრატიულ რესპუბლიკად ვაცხადებო.

რუმინია საბჭოთა წინააღმდეგ

ბუქარესტში მთავრობის ოფიციალური ცნობაა გამოქვეყნებული, სადაც ნათქვამია, რომ რუმინიის ჯარები სამხრეთ რუსეთში ბოლშევიკებს უკვე ებრძვიან. „რუმინიამ მთელი ძალ-ღონე უნდა მოიკრიფოს ბოლშევიზმის ჩასაქრობად, რადგან მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ის ორ ცეცხლ შუა არის ჩავარდნილი ერთის მხრით მას ბოლშევიკური რუსეთი ემუქრება, ხოლო მეორე მხრით კი უნგრეთი.

დენიკინის გამარჯვება

ეკატერინოდარის გაზეთებს თუ დაუჯერებთ დენიკინს დიდი გამარჯვება ხვდა წილად. მათი ცნობით განადგურებულია საბჭოთა მე-13-ე არმია.

დემონსტრაცია პარიზში

პარიზში ელისეს სასახლესთან მომხდარ ბოლშევიკურ დემონსტრაციამ მომწყობი მოსე კნეილერი, რუსი გამოდგა...

საალყო წესები გერმანიაში

ამას წინად გამოცემული აღმოსავლეთ პრუსიის საალყო წესები ჰინდენბურგის ბრძანებით მთელ გერმანიაზე ვრცელდება.

საუბარი საქართველოს რესპუბლიკის ოდესის ელჩთან

ამ დღეებში ოდესიდან თბილისში ჩამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის საკონსულოს ელჩი ა. მაჭირი ოდესიდან გამომგზავრა 29 მარტს გემ „როსიაზე“ რომელიც სხვათა შორის, ფოთამდე ფრანგულ დროშით მოდიოდა საფრანგეთის სარდლობის ნება-დართვით. ელჩთან საუბარის დროს ოდესის ამბების შესახებ ელჩმა შემდეგი განაცხადა:

აღებულია თუ არა ოდესა?

29 მარტს როდესაც ოდესიდან მოვემგზავრებოდი იქ მდგომარეობა ჯერჯერობით გამოურკვეველი იყო. საფრანგეთის სარდლობამ და ადგილობრივი მთავრობამ განაცხადეს, ქალაქს ბოლშევიკებს არ მივცემთო. ოდესის გარნიზონი იმ დროს 50,000 კაცამდე შესდგებოდა. ყოველ დღე შემოდიოდა მოკავშირეთა დესანტი. ქალაქში მშვიდობიანობა სუფევდა. მხოლოდ ადგილობრივ ბოლშევიკთა და მუშათა გამოსვლისა ეშინოდათ, ქალაქის გარედ, მოლდავანკაში და სხვა ადგილებში თხრილები გათხარეს და მართულის ხლართი დამართეს. შთაბეჭდილება ისეთი იყო რომ ოდესა გაუმკლავდებოდა. თუ საბჭოთა რადიო გამოგონილი არ არის და სინამდვილეა, მხოლოდ გასაკვირველია რატომ არ ეთანხმება იმ მომზადებას რომელიც მიღებულ იყო ოდესის დაცვისათვის.

ოჩაკოვის აღება.

ჩემი გამომგზავრების დროს მოვიდა ცნობა ბოლშევიკ. ოჩაკოვის აღებისა. ოჩაკოვი—მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტია, რომელიც ჰკეტავს დნეპრის გამოსავალს. მე არ ვამტკიცებ, რომ ოდესისთვის საბედისწერო წარმატება გამოყენებული იყო ბოლშევიკებისგან როგორც ოდესის აღება და ამ გვარად გამოცხადებული.

შესაძლებელია თუ არა ოდესაში მიმოსვლა?

თუ ბოლშევიკებმა მართლა აიღეს ოდესა, რასაკვირველია მაშინ ეს მიმოსვლა საფიქრებელია, რომ საქართველოს ქვეშევრდომთა ინტერესები არ იქნება დარღვეული, როგორც მაგ. კიევში, ხარკოვში და მოსკოვში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უკრაინის საბჭოთა მთავრობას არ აქვს განსაზღვრული პოლიტიკა. ხარკოვში ქართველების მობილიზაცია უყვეს, კიევში კი—არა ტ კიევის საბჭოთა მთავრობამ გააუქმა ქართველთა მობილიზაცია ხარკოვში.

შესაძლებელია თუ არა საქონლის გაცვლა-გამოცვლა ბოლშევიკებთან.

ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ეს იმაზეა დამოკიდებული თუ ვინ იქნება ოდესის მმართველი.

არსებითად ეს შესაძლებლად მიმაჩნია, რადგან ბოლშევიკებმა თუ მართლა აზერბაიჯანთან მოაწყვეს საქონლის გაცვლა-გამოცვლა, მაშინ ჩვენთანაც მოაწყობენ.

ქართულ საელჩოთა ბედი

ფაქტიურად საელჩო ძველებურად იმუშავებს. ფორმალურად კი შესაძლებელია რაიმე ცვლილება მოხდეს. საქმე იმაშია რომ ჩვენი წარმომადგენელნი გაგზავნილ იყვნენ ძველ უკრაინულ მთავრობასთან. საბჭოთა ახალ მთავრობასთან კი საჭიროა სხვა გვარი ქცევა. ჩვენმა წარმომადგენელმა ვ. თევზაიამ გამონახა ამგვარი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან. თავის მხრით დანიშნა კიევში ახალი კონსული საბჭოთა მთავრობასთან, ეს კონსული მისიის წევრთაგანია, მგონი ბრეგვაძე. ფაქტიურად კი თვითონ ხელმძღვანელობდა საქმეს. შესაძლებელია ამგვარადვე მოვიქცეთ ოდესაში. ვ. თევზაია მგონი ტფილისში ჩამოსვლას აპირებს.

ფრანგული დროშა

ზღვაზე ფრანგული დროშით მოვდიოდით.

საქართველოში გამოგზავნილ საქონელს და სამხედრო ტყვეებს მოხალისეთაგან რომ არაფერი შემთხვეოდათ საქართველოს ელჩმა უშვერიძემ საფრანგეთის სარდლის წინაშე იშუამდგომლა, რათა ნება მიეცათ გემ „როსიისთვის“ ფრანგული დროშა გაეკეთებინათ. ბ-ნ უშვერიძემ ამის უფლება და შესაფერი საბუთები მიიღო.

ჩამოსვლის მიზანი

თბილისში ჩამოვედი რათა ჩვენს მთავრობას საქმის ვითარება გავაცნო, რომელიც სხვა და სხვა მიზეზებით, შეიქმნა და რჩევა ვკითხო.

ამ ბოლო დროს ოდესაში ჩვენი საქმის გარდა მოკავშირეთათვის საქართველოს მდგომარეობის გაცნობა ვიკისრეთ.

ეკონომიური კონფერენცია.

რადგან ოდესაში დაარსდა საერთო ორგანიზაცია ჩვენმა ელჩმა ე. უშვერიძემ სთხოვა საფრანგეთის სარდლობას ამ კონფერენციაზე საქართველოს წარმომადგენელი კოოპერატორი ავალიანი დაეშვა.

ფრანგები დაგვპირდენ მაგრამ ფაქტიურად კი ვერ მოხერხდა იმ პოლიტიკური მოსაზრებით რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ ოფიციალურად არ არის აღიარებული.

უშვერიძე სცდილობდა თავისი გაეყვანა და ის ჰქონდა საბუთად რომ ამ კონფერენციაზე მონაწილეობას იღებენ ყირიმის ყუბანის, ნოვოროსიის და უკრაინის წარმომადგენელი იმ დროს, როდესაც ეს სახელმწიფოებიც არ არიან ოფიციალურად აღიარებულნი.

იმედია რომ მხედველობაში მიიღებენ საქართველოს ინტერესებს. აგრეთვე მოვითხოვდით სწორე მიმოსვლის შავ ზღვის და საქართველოს პორტთა შორის. ამაშიაც დაგვპირდენ დახმარების აღმოჩენას

მუნიციპალური ცხოვრება

სახადის შემცირება.

ქალაქის სამედიკო სასანიტარო ბიუროს მიერ მიღებულ ცნობებისამებრ სახადით ავადმყოფობა თბილისში შემცირდა. სამაგიეროდ ქალაქში „წითელა“ ვრცელდება.

საავადმყოფოებში მუშაობის საქმე.

ქალაქის სამედიკო სასანიტარო ბიუროში ყოველ დღე მიმართავენ თხოვნით ქალაქის საავადმყოფოებში მათთვის რაიმე სამსახურის მიცემის შესახებ. ბიურომ ამ უკანასკნელ სამ დღის განმავლობაში 200 კაცამდე მიიღო სამსახურში და გაამწესა საავადმყოფოების უფროსი ექიმის განკარგულებაში. იმავე დროს ძველი მოსამსახურენი, რომელთაც გამოუცხადეს 11 აპრილიდან კოლლექტიურად სამსახურიდან გასვლა, ახალ მოსამსახურეებს არ აბარებენ საავადმყოფოს განყოფილებებს და თხოულობენ ეხლავე ჯამაგირით დაკმაყოფილებას და თუ ხუთშაბათამდე, მაშინ ისინი თხოულობენ ხუთშაბათამდე უფასოდ გამოკვებას საავადმყოფოში. საავადმყოფოს ადმინისტრაცია ადასტურებს სადილის და ვახშმის ფულებს მხოლოდ იმ პირობით, რომ ამის ფასი ჯამაგირებიდან გამოერიცხოთ.

საავადმყოფოს ხარჯთ-აღრიცხვა.

ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა ალექსანდრეს სახელობის ქალაქის საავადმყოფოს სახადით ავადმყოფობის განყოფილების შესანახი ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც სამის თვით ნაანგარიშებელია 367,638 მან. 15 კაპ.

განყოფილების დახურვა ვერის სახსასწავლებელში.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა ვერის მეორე დასაწყის სასწავლებელში დახუროს მე-4 კლასის პარალელი მოწაფეთა სიმცირის გამო (სულ 3—4 მოწაფეა) და ამ კლასის მასწავლებელი ქ. ზაალიშვილი ეხლავე იქნას დათხოვნილი სამსახურიდგან.

სასურსათო საქმე

საქართველოს რკინის გზების სასურსათო კომიტეტმა ბათომში გაგზავნა თავისი რწმუნებული 250,000 ფუთი თეთრი ფქვილის მისაღებათ, რომელიც კანადიდან მოიტანეს ინგლისელებმა რკინის გზის მოსამსახურეთათვის. ბათომში გაგზავნილია 50 ვაგონი ფქვილის გამოსაზიდავად.

ცენტრალურ სასურსათო საბჭომ დაამტკიცა საბჭოს მოსამსახურეთა ახალი შტატი. საბჭოს თავმჯდომარეს დაენიშნა 2,000 მან. მის ამხანაგს 2,700 მან. თვეში ჯამაგირი.

ცენტრალურ სასურსათო საბჭომ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა მას მიეცეს 8 მილიონი თანხა სურსათ-სანოვაგის შესაძენათ საქართველოს მცხოვრებლებისთვის.

ცენტრალურ სასურსათო საბჭო გზავნის ზაქათალის ოლქში და ბორჩალოს მაზრაში თავის რწმუნებულებს 15,000 ფუთი სათესი პურის შესაძენათ ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში დასათესათ.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა სასურსათო ზედამხედველთა შტატი გაუქმდეს და ამის მაგივრათ დაინიშნოს რვა მეთვალყურე ბაზრისა.

მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

მატარებლები თბილისიდან ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.
მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

ყარსიდან—ერევანში

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

თბილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან—თბილისში.

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.
მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

ბ ა ქ ო დ ა ნ

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

ნახიჩევანიდან და ყარსიდან

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

თბილისსა და მცხეთის შუა

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

მცხეთიდან მოდის

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—1 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტ № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

ე. ა. მონსე

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნე ლებანი. მკურნალობა ელექტრონი სიმსუქნის მკურნალობა ბერგონი აპარატით, სალსრების მკურნალო ლინდემანის აპარატით; ფსიხოტე პია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დ საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირ და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მ ხეილის პროსპ. № 111. ტელეფ 13—42.

50—2119—3

სტამბა კალანდაძისა, გამეგის შესახვევი № 4.